შიraki

SHIRAKI

№42 (10.097)

11-18 ნოემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

„ჩვენ გავაგრძელებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე ზრუნვას“...

7 ნოემბერს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საზოგადოებას წლიური ანგარიში წარუდგინა. მან დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ დეტალურად ისაუბრა. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ანგარიშის წარდგენა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზით დაიწყო:

„2023 წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ბიუჯეტმა შეადგინა 18 მილიონ 251 ათასი ლარი. ჩვენი მუნიციპალიტეტის ძირითადი შემოსავლები ასე განისაზღვრა: 5 მილიონი ლარი - დამატებითი შემოსავლების გადასახადია(დღგ), რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან მოემართება ადგილობრივ ბიუჯეტში და ის მზარდი თანხაა, რაც იმას გულისხმობს, რომ წლის დასაწყისში დაგეგმილი ფულადი რესურსი წლის განმავლობაში იზრდება; შემდეგი არის საწარმოთა ქონების გადასახადი - იმ ბიზნესებს, რომელთაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გააჩნიათ ქონება, მისი ღირებულების ერთ პროცენტს იხდიან და, საბოლოოდ, ეს თანხა 630 000 ლარს შეადგენს. წლების წინ ეს თანხა სულ რაღაც 200 000 ლარს შეადგენდა და დღევანდელი მონაცემებით, 3-ჯერაა გაზრდილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი ბიზნესი ვითარდება; შემდეგი და ყველაზე მთავარი შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტში ეს მიწაზე ქონების გადასახადია და ის 8 მილიონ 280 000 ლარია. გვაქვს ამ თანხის გაზრდის პერსპექტივა, რაც იმას გულისხმობს, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაურეგისტრირებული მიწები კანონის ჩარჩოში მოექცევა. მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი, რომლის წყალობითაც, ჩვენს მოსახლეობას შესაძლებლობა აქვს, საჯარო რეესტრში სრულიად უსასყიდლოდ დაარეგისტრიროს კუთვნილი მიწის ნაკვეთი თუ საცხოვრებელი სახლი. 2024 წლის ბოლომდე საქართველოში, ქვეყნის მთავრობისა და პრემიერის დამსახურებით, აღარ იარსებებს დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წილი ადგილობრივ ბიუჯეტში ძალიან მცირეა და ის 40 000 ლარს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემდეგ წყაროს წარმოადგენს გრანტები და ფონდები. მაგალითად, რეგფონდი, საიდანაც წამოსული თანხის მოცულობა წელს 6 მილიონ 989 000 ლარი იყო და რომლის წყალობითაც ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. შემდეგი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შემოსავალია 2 მილიონ 20 000 ლარის მოცულობით, თუმცა, მომავალი წლისთვის ეს თანხა განახევრდება, რაც კირქვის მოპოვების შემცირებითაა გამოწვეული. ეს დროებითი პროცესია და, ვიმედოვნებთ, რომ მომავალში შემოსავალი კვლავ გაიზრდება. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს წარმოადგენს ასევე არაფინანსური აქტივები, ჯარიმები და მოსაკრებლები“.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საზოგადოებას მერიის ზედამხედველობის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა - შოთა ლოლაშვილი, რომელსაც საჯარო სამსახურში მუშაობის ათწლიანი გამოცდილება აქვს. მერმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელმძღვანელის დამსახურებით, ზედამხედველობის სამსახური მეტად იზრუნებს დედოფლისწყაროში უკანონო მშენებლობების პროცესის გაკონტროლებასა და სკვერების სისუფთავის დაცვაზე. პარალელურად კი - ბიუჯეტის შევსებაზე. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა აქვე აღნიშნა, რომ მათი მიზანი ჯარიმების გამოწერა სულაც არ გახლავთ, მაგრამ ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ სკვერში მსხვილფეხა პირუტყვის ყოფნის აკრძალვა მეპატრონის დაჯარიმების გარეშე არ ხერხდება. ეს სამწუხარო და არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ გაცილებით უსიამოვნოა ახლადრეაბილიტირებულ სკვერში საქონლის მიერ დაზიანებული ინვენტარის ხილვა...

მერმა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პარალელურად ისაუბრა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე და მაგალითად ადგილობრივი ბიუჯეტი მოიყვანა. 2016 წელს მისი მოცულობა 8 მილიონ ლარს შეადგენდა, დღეს კი 18 მილიონი ლარია. განვლილ 10 წელიწადში განვითარდა და სულ სხვა სიმაღლეზე ავიდა ჩვენი მუნიციპალიტეტი, და ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ ბიუჯეტის ზრდა მხოლოდ ლიტონი სიტყვები და ციფრები არაა.

„ყოველთვის ვამბობ, რომ საბავშვო ბაღები ჩვენი მთავარი პრიორიტეტია. 2012 წლის ბოლოს მოვიდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ და საბავშვო ბაღების დაფინანსება დედოფლისწყაროში იყო 416 000 ლარი, ბაღი ფასიანი იყო, არ იყო კვება, გათბობა, მოუწესრიგებელი იყო სანიტ-ჰიგიენური პირობები. 2013 წლიდან დაიწყო ბაღებზე ზრუნვა როგორც ცენტრალურმა, ასევე ადგილობრივმა ხელისუფლებამ. დღეს საბავშვო ბაღებში სწავლა სკოლამდელი ასაკის

ბავშვებისთვის არის უფასო, მუნიციპალიტეტის 18-ივე ბაღი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და დაცულია ყველა ნორმა, პატარებს აქვთ დღეში 4-ჯერადი კვება და ახალი სათამაშოები. იმ სოფლებში, სადაც არ იყო ბაღის შენობა, ან ბავშვებს არასაკმარისი ფართის პირობებში უხდებოდათ ყოფნა, ყველგან ახალი შენობა აშენდა ან უკეთესი ფართი გამოინახა. ეს ყველაფერი ციფრებშიც აისახა და 416 000 ლარიდან ბაღების დაფინანსება 2 მილიონ 419 500 ლარამდე გაიზარდა. მომავალი წლიდან ასევე იგეგმება საბავშვო ბაღის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა 100 ლარით, რაც მათ ბიუჯეტზეც აისახება.

2 მილიონ 741 000 ლარია დედოფლისწყაროს კომუნალური მომსახურების ცენტრის დაფინანსება. ჩვენი მიზანია, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე იყოს სისუფთავე და განათებული იყოს ყველა უბანი და ქუჩა, დაწყებული მაჩხაანიდან - დამთავრებული საბათლოთი. ყველა სოფელი უზრუნველყოფილია სანაგვე ურნებით და ყველგანაა დამონტაჟებული გარე განათების სიტემა“.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ვრცლად მიმოიხილა იმ ორგანიზაციების საქმიანობა, რომლებიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდებიან და აღნიშნა, რომ თითოეული მათგანი ზრუნავს დედოფლისწყაროს მოსახლეობის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, განათლების უზრუნველყოფაზე. „სათნოების სახლი 180-მდე უპოვარ ადამიანს ყოველდღიურად აპურებს. მისი ბიუჯეტი 200 000-დან 306 000 ლარამდე გაიზარდა; კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის ცენტრის დაფინანსება მილიონ 74 000 ლარია და ეს ორგანიზაცია ზრუნავს მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერ განვითარებაზე, 500 ახალგაზრდა სპორტის წყალობით ქუჩასაა მოწყვეტილი და ბევრი წარმატებული სპორტსმენიც გვყავს.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბიუჯეტი 137 000 ლარს შეადგენს. ამ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი როლი კოვიდპანდემიის ეტაპზე გამოიკვეთა. 180 000 ლარით ფინანსდება დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლა. ყველამ ვიცით, რომ ხელოვნების გარეშე ყველა საქმეს პეწი ეკარგება“-აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

სკოლამდელი დაწესებულებების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების დიდი ნაწილი უკვე რეაბილიტირებულია:

„164 000 ლარი იხარჯება სკოლების კეთილმოწყობაზე. ამ დღეებში დასრულდება მირზაანის სკოლის რეაბილიტაცია. ოზაანში 1989 წელს უნდა აშენებულიყო სკოლა. მას შემდეგ ყველა ხელისუფლება პირდებოდა სოფლის მოსახლეობას ამ პროექტის განხორციელებას, მაგრამ დაპირება-დაპირებად რჩებოდა. მხოლოდ „ქართული ოცნების“ პირობებში მოხერხდა სკოლის აშენება. ამჯერად მიმდინარეობს შენობის შიდა მოპირკეთების სამუშაოები. გაზაფხულიდან ოზაანელი მოსწავლეები ახალ სკოლაში ისწავლიან.

სამთაწყაროში უნიკალური სკოლა გაკეთდა, სამუშაოების 95% დასრულებულია და 2024 წლის იანვარში მოსწავლეები სწავლას ახალ სკოლაში გააგრძელებენ. კვლავ აქტიურად გრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განახლება. უახლოეს პერიოდში კიდევ რამოდენიმე სკოლის მშენებლობა დაიწყება.

ჩვენი მიზანია, რომ ქალაქსა და სოფლებში მოსახლეობას ჰქონდეს ერთნაირი პირობები,რათა ხალხი არ გარბოდეს სხვაგან და როგორც გარე მიგრაციის, ასევე შიდა მიგრაციის მზარდ პროცესს ხელი შევუშალოთ.

ამ დღეებში დასრულდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“- კახეთის რეგიონში ერთადერთი მუნიციპალიტეტი ვართ, რომლებმაც პირველებმა დავასრულეთ სოფლის პროგრამა და საკმაოდ წარმატებულადაც. 24 პროექტი უკვე დამთავრებულია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ის პროექტები, რომლებიც მოსახლეობამ თავად გამოავლინა პროგრამით განსაზღვრული პარამეტრებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით“.

მუნიციპალიტეტის მერმა წინასაარჩევნო დაპირებებიც გაიხსენა და აღნიშნა, რომ ორი მთავარი დანაპირები-სასმელი წყლით უზრუნველყოფა და ქალაქ დედოფლისწყაროში არსებული კორპუსების ეზოების მოასფალტება - შესრულებულია. შემდეგ კი სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო საზოგადოებას, რომლებიც გარდა ჩვენი მოსახლეობისთვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნისა, ტურისტული პოტენციალის გაზრდასაც ემსახურება.

„ფიროსმანის სახლ-მუზეუმთან მისასვლელ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდა, მოეწყო გარე განათების სისტემა და გაკეთდა ავტოსადგომი. ამ პერიმეტრის რეაბილიტაციამ განაპირობა ტურისტულ ობიექტამდე - „ვილა ჯიო“

/გაგრძელება გვ.3/

„ახლა მთავარია, აღვნიშნოთ ევროკომისიის გადაწყვეტილება და საკითხის მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურ ემოციებში გამოვხატოთ“

„ახლა მთავარია, მივიღოთ და აღვნიშნოთ ეს გადაწყვეტილება და ეს წელიწადნახევრიანი ემოციური დამოკიდებულება საკითხის მიმართ პოზიტიურ ემოციებში გამოვხატოთ და არა იმ ჩამომტირალ სახეებზე, რომელიც ოპოზიციას აქვს“, - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, ევროკომისიამ ქვეყანას ახლა 9 რეკომენდაცია მისცა, რომელთან დაკავშირებით ხელისუფლება აუცილებლად იმუშავებს.

„ევროკომისიამ თქვა, რომ 12 რეკომენდაციის შესრულება საკმარისია იმისთვის, რომ საქართველომ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ამასთან, ჩვენ მოგვეცა 9 რეკომენდაცია, რომელშიც ზოგიერთი წინა თემებიდან არის მოდიფიცირებული. ახლა გადავედით ახალ ეტაპზე, რომელიც უკვე შემდეგ სამიზნეს - მოლაპარაკებების გახსნას ეხება. რა თქმა უნდა, ამ 9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ჩვენ ვიმუშავებთ. აქ უკვე ბევრი საკითხია, რომელიც, განსხვავებით წინა საკითხებისგან, უფრო პრაქტიკაზეა ორიენტირებული, ვიდრე საკანონმდებლო ცვლილებებზე. თუმცა, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო ნაწილიც არის. ამიტომ, თავისთავად ჩვენ ამაზე ვიმუშავებთ.

პირველ რიგში, მართალია, ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მოლოდინში ვართ, 15 დეკემბერს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ არსებული რეკომენდაცია ევროპულმა საბჭომ გაიზიაროს. თუმცა ძალიან ახლოს ვართ და მთავარია, კომისიამ თქვა, რომ 12 რეკომენდაციის საკითხი დაიხურა და იმისთვის საკმარისად შესრულდა, რომ კანდიდატის სტატუსი მოგვცენ. საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა თავისი როლი იმისთვის, რომ მივსულიყავით ამ ეტაპამდე. ახლა მთავარია, რომ მივიღოთ და აღვნიშნოთ ეს გადაწყვეტილება და ეს წელიწადნახევრიანი ემოციური დამოკიდებულება საკითხის მიმართ პოზიტიურ ემოციებში გამოვხატოთ და არა იმ ჩამომტირალ სახეებზე, რომელიც ოპოზიციას აქვს. ჩანს, რომ ოპოზიცია განიცდის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი დანაპირები, რომელიც 2020 წელს მისცა თავის მოსახლეობას წინსწრებით და გადაჭარბებით შეასრულა. ახლა ეს გამარჯვება უნდა ვიზეიმოთ, შემდეგ უნდა მივუბრუნდეთ დანარჩენ საკითხებს, რომელიც შემდეგ ეტაპს - მოლაპარაკებების გახსნას ეხება“, - აღნიშნა პაპუაშვილმა.

რაც შეეხება ახალი რეკომენდაციების შესრულებისას ოპოზიციის ჩართულობის საკითხს, შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ მას ვისაც სურვილი აქვს, რომ ამ პროცესის ნაწილი იყოს, შესაძლებლობა აქვს, „ავიდეს იმ ევროპულ მატარებელში, რომელიც ახლა კიდევ უფრო მეტად იკრეფს სიჩქარეს.“

„იმ ევროპულ მატარებელზე, რომელიც ახლა კიდევ უფრო მეტად იკრეფს სიჩქარეს, ამოსვლა ყველას შეუძლია. საქართველოს ხელისუფლება აუძღვება ამ ლოკომოტივს, რომელსაც ჩვენ მივყავართ ევროპაში. მას ვისაც აქვს სურვილი, რომ ამ პროცესის ნაწილი იყოს, შესაძლებლობა აქვს, ამოვიდეს ამ მატარებელში, უკან დატოვოს დეზინფორმაცია, ტყუილი და სხვა ის, რითაც განსაკუთრებით რადიკალური ოპოზიცია გამოირჩევა ხოლმე. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ არათუ მზაობაზეა საუბარი, არამედ, ეს ბუნებრივადაც მოიტანს განწყობას, იქნება ეს პარლამენტში თუ მის გარეთ“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

„მიგვაჩნია, რომ საფრანგეთი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, საფრანგეთი კიდევ უფრო გააძლიერებს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას, რაც ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე შემდეგი ეტაპების წარმატებით გავლაში დაგვეხმარება.

„სასიამოვნო იყო საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან შეხვედრა. მადლობელნი ვართ ევროპეიზაციის გზაზე პრეზიდენტის მიერ საქართველოსადმი გამოხატული მხარდაჭერისთვის და მიგვაჩნია, რომ საფრანგეთი კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას, რაც ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე შემდეგი ეტაპების წარმატებით გავლაში დაგვეხმარება“, - აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

კორუფციის დაბალი დონით საქართველო რეგიონში ლიდერია

მსოფლიოს მოწინავე ანალიტიკურმა ცენტრმა, შვეიცარიულმა ორგანიზაციამ - Global Risk Profile (GRP) „გლობალური კორუფციის ინდექსი 2023“ გამოაქვეყნა.

რეიტინგში საქართველო 2 ადგილით დაწინაურდა, მსოფლიოს 196 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის საუკეთესო 25%-ში მოხვდა და მსოფლიოში 43-ე ადგილი დაიკავა. შავიზღვისპირეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში კი პირველი ადგილი მიიღო - სტატუსით „კორუფციის დაბალი დონე“. საქართველო აღნიშნულ რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც „კორუფციის დაბალი დონის“ სტატუსი აქვს.

კორუფციისაგან თავისუფლებით საქართველომ გაუსწრო ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ყველა ქვეყანას, ევროკავშირის და ნატოს წევრ 8 სახელმწიფოს.

GCI-ის გამოსათვლელად განიხილება 6 ინდიკატორი, რომელთაგან 4 ორიენტირებულია კორუფციაზე, ხოლო 2 ფინანსურ დანაშაულზე.

„პრემიერის განცხადებამ გამახარა“

„პრემიერის განცხადებამ გამახარა, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკომისიამ პოლიტიკურად ძალიან ზუსტი გადაწყვეტილება მიიღო“, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა „France24“-თან ინტერვიუში ჟურნალისტის მიერ დასმული შემდეგი კითხვის საპასუხოდ განაცხადა: „პრორუსულად მიჩნეულმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ახალი სტატუსი ისტორიული გამარჯვება იყო. გაგაკვირვათ ამან?“.

სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, თუ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, ეს საშუალებას მისცემს წარმოიშვას ახალი კოალიცია, ხოლო ამ შემთხვევაში, შეავსრულებთ ყველა პირობას, რომ ჩვენ გავხსნათ მოლაპარაკებები გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

„გამახარა. ის დღეს საფრანგეთში იმყოფება და ესწრება მშვიდობის ფორუმს, ხვდება პრეზიდენტ მაკრონს. ამან [განცხადებამ] მე გამახარა, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკომისიამ პოლიტიკურად ძალიან ზუსტი გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ეს გარკვეულწილად აიძულებს საქართველოს ყველა პოლიტიკურ ძალას ერთ ევროპულ სიხშირეზე იყვნენ. ვნახოთ... ვფიქრობ, რომ სტატუსი, რომელსაც იმედია წლის ბოლოს მივიღებთ, იქნება არა სტატუსი მონიჭებული საქართველოსთვის როგორც „საბოლოო ანგარიშსწორება“, არამედ როგორც strings attached, უფრო მეტი და უფრო ძლიერი კავშირი ევროპასთან, ევროპის მეტი ჩართულობა. ევროპა უნდა იყოს ჩვენთან ერთად, ეტაპობრივად, შემდეგ ეტაპამდე.

იმედი მაქვს, რომ თუ გვექნება დემოკრატიული არჩევნები, ეს საშუალებას მისცემს წარმოიშვას ახალი კოალიცია. ამ შემთხვევაში, შეავსრულებთ ყველა პირობას, რომ ჩვენ გავხსნათ მოლაპარაკებები გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ერთი წელი გვაქვს დაგვიანება უკრაინასა და მოლდოვასთან შედარებით, ეს წელი უნდა ავინაზღაუროთ და ამისათვის ევროპა ჩვენს გვერდით უნდა იყოს“ - განაცხადა პრეზიდენტმა.

ამასთან, სალომე ზურაბიშვილის განმარტებით: „მოსახლეობამ გუშინ კარგად იგრძნო, რომ ჩვენ ამ გზაზე მარტონი არ ვართ. ეს რთული პროცესია. გაწევრიანებაზე და წევრი ქვეყნის იურიდიულ სტატუსზე უფრო მნიშვნელოვანია ევროპულ ოჯახში ყოფნა და ის, რომ გარეთ არ ვიყოთ დატოვებული. ეს არის ფუნდამენტური“.

კითხვაზე, არ გეშინიათ, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეგიშლით რეფორმების ბოლომდე განხორციელებაში? საქართველოს პრეზიდენტი პასუხობს, რომ ეს მოსახლეობაზე იქნება დამოკიდებული.

„ეს დამოკიდებული იქნება მოსახლეობაზე. ჩვენ დემოკრატიულ სისტემაში ვართ, ხალხის ხმა, ხალხის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ შევკრიბე გუშინ, არა მხოლოდ აღსანიშნავად, რადგან არ ვიცოდით აღსანიშნავი ამბავი იქნებოდა თუ არა, არამედ ხელმოწერების კამპანიის დასაწყებად, რამაც 15 დეკემბრამდე უნდა მიგვიყვანოს. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებამდე, რათა ევროკომისიისთვის გვეჩვენებინა, რომ საქართველოს მთლიანი მოსახლეობა გულშემატკივრობს ევროპისკენ მიმავალ ამ გზას. მთავრობები იცვლება და მოსახლეობა რჩება. 2024 წელი არჩევნების წელია, რომელიც 2024 წლის ოქტომბრის თვეში ჩატარდება, შეიძლება ვიხილოთ ევოლუცია, მაქსიმალურად სტაბილური და მშვიდი, რომელიც მიგვიყვანს კოალიციურ მთავრობასთან“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რომ სლოვაკეთის ახლადარჩეულმა პრორუსულმა პრემიერმა ფუკომ შეწყვიტა უკრაინისათვის იარაღის მიწოდება და ხომ არ შიშობთ, რომ საქართველო იგივე გზით შეიძლება წავიდეს, სალომე ზურაბიშვილი პასუხობს, რომ საქართველო უკრაინას იარაღს არ აწვდის, რადგან არის რაღაცეები, რისი უფლებაც არ შეგვიძლია მივცეთ საკუთარ თავს.

„ჩვენ არ ვაწვდით იარაღს უკრაინას, ცხადი მიზეზების გამო, სტრატეგიული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენ ორი ოკუპირებული ტერიტორია გვაქვს, არის რაღაცეები, რისი უფლებაც არ შეგვიძლია მივცეთ საკუთარ თავს და ამასთან დაკავშირებით მე მთავრობისგან განსხვავებული შეხედულება არ მაქვს. მაგრამ მე, ისევე როგორც მოსახლეობა, უფრო ღიად ვუცხადებ სოლიდარობას უკრაინას, რაც ვთვლი, რომ აუცილებელია, რადგან ჩვენ გვაქვს მსგავსი ისტორია, წარსული და დარწმუნებული ვარ, რომ გვექნება ერთნაირი მომავალი ევროპაში. ეს სოლიდარობა აუცილებელია და თუ თქვენ ჩამოხვალთ თბილისში, ამ სოლიდარობას ყველგან დაინახავთ უკრაინული დროშების სახით, რომლებიც ისევე მრავლადაა, როგორც ქართული და ევროპული დროშები“, - განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

„რადიკალური ოპოზიცია საქართველოს უყენებს პირობას, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ მოკლული თანამოქალაქისა და უკანონო ტყვეობაში მყოფი პირის შესახებ რეაგირება მოახდინოს“

რეზოლუციაში არის მანიპულაციური ტექსტი, თითქოს საქართველო აქამდე არაფერს აკეთებდა ოკუპაციის წინააღმდეგ და იმ უმძიმეს შემაშფოთებელ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, რომელიც მოხდა ამ წლების განმავლობაში, - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერმა არჩილ თალაკვაძემ, რითაც გამოეხმაურა ოპოზიციის რეზოლუციის პროექტს, რომელიც მოუწოდებს მთავრობას, ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავეების სახელები შეიყვანოს.

თალაკვაძის თქმით, საქართველოს მოქალაქის მკვლელობასა და გატაცებაზე, ხელისუფლებისთვის რეაგირების მოთხოვნა მანიპულაციურია.

„რეზოლუციის ტექსტი იმგვარად არის შედგენილი, რომ რადიკალური ოპოზიცია საქართველოს, ანუ თავის სახელმწიფოს, ვის პოლიტიკასაც ისინი წარმოადგენენ, სთხოვს და უყენებს პირობას, რომ საოკუპაციო რეჟიმის მიერ მოკლული თანამოქალაქის და გატაცებული, უკანონო ტყვეობაში მყოფი მოქალაქის შესახებ მოახდინოს რეაგირება. საკუთარ ქვეყანას სთხოვენ რეაგირება დაიწყეთო. ეს არის მანიპულაციური ტექსტი, თითქოს საქართველო აქამდე არაფერს აკეთებდა ოკუპაციის წინააღმდეგ და იმ უმძიმეს შემაშფოთებელ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, რომელიც მოხდა ამ წლების განმავლობაში. ამ რეზოლუციას აინიცირებს ხალხი, რომელმაც თავის მოსახლეობა ომის დროს დატოვა ომის ზონაში ევაკუაციის გარეშე, ის ხალხი, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს გამოიქცა ბრძოლის ველიდან და იქ დატოვეს ჯარისკაცები, ადამიანები, რომლებმაც თანამედროვე შეიარაღება ჩააბარეს რუსეთს ომის დროს, ამის მერე გაიხსნეს საზღვრები რუსეთს, ჩააბარეს ენერგეტიკული და სტრატეგიული ობიექტები რუსეთს“, - განაცხადა თალაკვაძემ.

ინფორმაციისთვის, ოპოზიციონერმა დეპუტატებმა თეონა აქუბარდიამ და თინა ბოკუჩავამ პარლამენტში ბრიფინგი გამართეს, სადაც თქვეს, რომ მათ შეიმუშავეს რეზოლუცია, რომელსაც აქვს საპარლამენტო ოპოზიციის მხარდაჭერა და მოუწოდებს მთავრობას, დაუყოვნებლივ შეიყვანოს ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში თამაზ გინტურის მკვლელობაში დამნაშავეების სახელები. ასევე რეზოლუციით, ისინი მოუწოდებენ მთავრობას, რომ ოკუპაციის საერთო ეროვნული ხედვა მიიღოს იმისთვის, რომ საქართველომ დეოკუპაციის და მშვიდობის პოლიტიკა გაატაროს.

„ჩვენ გავაგრძელებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე ზრუნვას“...

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

მისასვლელი გზის მოწესრიგებაც, რაც ტურისტების მოსაზიდად ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ზემო მაჩხაანში მე-20 და 24-ე ქუჩების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. არბოშიკის შესასვლელში ჩამოშლილი კედელი გავაკეთეთ, რომლის მოხატვა და გამოცოცხლება უახლოეს პერიოდში იგეგმება.

არბოშიკი-მაჩხაანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რომელზეც 11 მილიონ 715 000 ლარი იხარჯება. პროექტი მომავალ წელს დასრულდება.

ყველამ იცით, რომ განხორციელდა ხორნაბუჯის ციხის რეაბილიტაცია, ეს პროცესი სრულად არ დასრულებულა, მაგრამ რამდენჯერაც მონიტორინგის მიზნით აქ ავედით, იმდენჯერ გადავსებული დაგვხვდა არა მარტო საპიკნიკე სივრცეები, არამედ მიმდებარე ტერიტორიაც. ის უკვე გახდა მიიმზიდველი სივრცე როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც“.

ანგარიშის დასრულების შემდეგ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა გაწეული შრომისათვის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის ა(ა)იპების თანამშრომლები მადლობის სიგელებით დააჯილდოვა: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების სამსახურის უფროსი დოდო ხუნაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომლები ნაირა ნატროშვილი და ნოდარ ჩერქეზიშვილი,

ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, 2021 წელს ამომრჩევლისათვის მიცემული ყველა მსხვილი დაპირება შესრულებულია, თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არავის აძლევს. ,,ჩვენ აქტიურად გავაგრძელებთ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვას და ახალი პროექტების განხორციელებას “–აღნიშნა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

ინგა შიოლაშვილი

არჩევნები ელექტრონული სისტემის გამოყენებით

რა სიახლეები ელოდება ამომრჩეველს 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?

8 ნოემბერს, ცესკოს ორგანიზებით, დედოფლისწყაროს კულტურის სახლში, ადგილობრივი ორგანიზაციებისთვის არჩევნების ელექტრონული სისტემით ჩასატარებელი მორიგი ტრენინგი გაიმართა. შეხვედრას დედოფლისწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დავით ნასრაშვილი და მდივანი მანანა ლამაზოშვილი უძღვებოდნენ.

ტრენინგზე დამსწრე საზოგადოებას 2024 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარების შესახებ მიეწოდა ინფორმაცია. როგორც შეხვედრაზე დავით ნასრაშვილმა აღნიშნა, „დედოფლისწყაროში სულ 20 უბანი იქნება. აქედან არჩევნები 9 უბანზე (სოფლები: არბოშიკი, ოზაანი, გამარჯვება, ხორნაბუჯი, სამრეკლო, ქალაქ დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის 4 უბანი) -ელექტრონული, დანარჩენ - 11 უბანზე კი ტრადიციული მეთოდით ჩატარდება. ელექტრონული ხმის მიცემისას ხმების დათვლა განხორციელდება ელექტრონული აპარატების გამოყენებით. ხმის დამთვლელი აპარატი ავტომატურ რეჟიმში ითვლის ხმებს და კენჭისყრის დასრულების შემდეგ, სავალდებულო პროცედურების განხორციელებისთანავე, ბეჭდავს კენჭისყრის წინასწარი შედეგების შესახებ ამონაწერს. ამის შემდეგ ხდება ბიულეტენების ხელით გადათვლა და ელექტრონული სისტემით მიღებულ შედეგებთან შედარება. თუმცა, იმ საარჩევნო უბნების მცირე ნაწილში, სადაც ხმის მიცემა ტრადიციული მეთოდით განხორციელდება, არსებული ბიულეტენები დასკანერდება, გაციფრულდება, ინტერნეტ სივრცეში აიტვირთება და იქნება საჯარო“.

დავით ნასრაშვილმა იმ საარჩევნო რეფორმაზეც ისაუბრა, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება უბნების ელექტრონული ხმის მიცემის სისტემაზე გადასვლა: „2024 წლის პარლამენტის არჩევნები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 70%-ში:

- **თვითთმმართველი ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანში;**
- **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საარჩევნო უბანში;**
- **საარჩევნო უბანზე, სადაც არჩევნები ელექტრონული საშუალებებით ჩატარდება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3000-ს;**

ასევე ცესკოს მიერ განსაზღვრულ საარჩევნო უბნებში:

- **უბნები, რომლებიც საარჩევნო ოლქიდან დაშორებულია არაუმეტეს 20კმ და ასევე, არის 300-ზე მეტი ამომრჩეველი.**

„გეტყვით, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნებში ხმას მისცემს ამომრჩეველთა რაოდენობის 89,08%. 3664 საარჩევნო უბნიდან განხორციელებული ცვლილებების შედეგად დარჩა 2775 საარჩევნო უბანი, საიდანაც არჩევნები:

*დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარდება - 1988 საარჩევნო უბანზე, მათ შორის, 206 ეთნიკურ საარჩევნო უბანზე (რაც შეადგენს ეთნიკური ამომრჩეველთა 67,53%);

*ტრადიციული წესით ჩატარდება - 767 საარჩევნო უბანზე;“ - აღნიშნა დავით ნასრაშვილმა.

ტრენინგზე ასევე ისაუბრეს იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ტექნონოლიგიების კუთხით განხორციელდა. შეიცვალა:

***საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა არჩევის ახალი წესი;**

***საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების და წევრების სერტიფიცირება;**

***საარჩევნო უბნის გახსნა კენჭისყრის დღის 6სთ და 45 წუთზე;**

***ერთზე მეტი ძირითადი საარჩევნო ყუთის და საარჩევნო ბიულეტენების ელექტრონული მთვლელი აპარატის გამოყენება;**

***ერთზე მეტი გადასატანი საარჩევნო ყუთი;**

***ტრადიციული წესით ჩატარებული საარჩევნო უბნების საარჩევნო ბიულეტენების ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ინტერნეტ-სივრცეში განთავსება;**

საარჩევნო პროცესში გამოყენებული ტექნოლოგიური აპარატები

ამომრჩეველთა ვერიფიკაციისთვის გამოიყენება - viu desktop სინქრონიზებული აპარატი (უბანზე საშუალოდ -2-5); ხმის ელექტრონული დათვლისთვის კი - საარჩევნო უბნის ოპტიკური სკანერი, უბანზე არანაკლებ 2 აპარატი.

აღსანიშნავი ფაქტებია, რომ ელექტრონული სისტემით:

***ამომრჩეველთა აქტივობის ზუსტი მონაცემები იბეჭდება კანონით დადგენილ შუალედებში;**

***ამომრჩეველთა საბოლოო აქტივობა ცნობილია კენჭისყრის დასრულებიდან 5 წუთში;**

***წინასწარი შედეგების გამოცხადდება 1 სთ-ში;**

***ელექტრონული და ხელით დათვლის შედეგები 99,97%-ით ემთხვევა;**

ცნობიერების ამაღლების კამპანია ტარდება:

***საჯარო უწყებებთან;**

***სასწავლო დაწესებულებებში;**

***მეტროსადგურებთან;**

***სავაჭრო მოლებში;**

***რკინიგზის სადგურებზე;**

***სახალხო დღესასწაულებზე;**

პროფესიული სწავლებისთვის და ცოდნის ასამაღლებლად ცესკოს მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტებია:

***საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები;**

***ცესკოს საარჩევნო სკოლა;**

***ცესკოს საარჩევნო ბანაკი;**

საარჩევნო პერიოდში განხორციელებული სწავლების სამიზნე ჯგუფებია:

***საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები;**

***პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები;**

***ადგილობრივი ორგანიზაციების დამკვირვებლები;**

***ელექტრონული მოწყობილობების სპეციალისტები;**

დავით ნასრაშვილმა ელექტრონული მოწყობილობების გამოყენების დადებითი ასპექტებზე და იმ მითებზე ისაუბრა, რომელიც ელექტრონული სისტემით ხმის მიცემას ახლავს თან.

დადებითი მხარეები:

***არჩევნებში ამომრჩევლის მონაწილეობის უტყუარი დადასტურება;**

***განმეორებით ხმის მიცემის/ვერიფიკაციის გამორიცხვა;**

***ამომრჩეველთა სიებით მანიპულირების დისკუსიის დასრულება;**

***ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლების სწრაფი და ზუსტი ძებნა;**

***მარტივდება საარჩევნო პროცედურები;**

***ადამიანური ფაქტორით გამოწვეული შეცდომების მინიმუმამდე მცირდება;**

***მცირდება პროცედურული დარღვევების რისკი და შესაბამისი საჩივრების რაოდენობა;**

***უბანზე მნიშვნელოვნად მცირდება სტრესი, უნდობლობა და დაპირისპირება;**

***არჩევნების წინასწარი შედეგები ცნობილია დაუყოვნებლივ;**

***არჩევნების შედეგები არის ზუსტი და სანდო;**

მითები ელექტრონულ არჩევნებზე:

*არჩევნების ჩაშლა აპარატურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში;

*ელექტრონული არჩევნები ტარდება დისტანციურად, სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის გამოყენებით;

*აპარატურა ინტერნეტთან არის დაკავშირებული;

*შედეგები ხელით არ ითვლება;

ტრენინგის მიწურულს მანანა ლამაზოშვილმა და დავით ნასრაშვილმა იმიტირებული საარჩევნო პროცესიც ჩაატარეს, სადაც ტრენინგის მონაწილეებს თავად შეეძლოთ, ენახათ და გამოეცადათ ყველა ის პროცედურა, რაც შემდგომ ელექტრონული სისტემით ხმის მიცემისას იქნება გამოყენებული. შეხვედრა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა და საკმაოდ ინფორმაციული აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროში სულ 20 საარჩევნო უბანი იქნება. აქედან არჩევნები 9 უბანზე (სოფლები: არბოშიკი, ოზაანი, გამარჯვება, ხორნაბუჯი, სამრეკლო, ქალაქ დედოფლისწყაროს ადმინისტრაციული ერთეულის 4 უბანი) –ელექტრონული, დანარჩენ – 11 უბანზე კი, ტრადიციული მეთოდით ჩატარდება.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ისტორიული გადაწყვეტილება მიღებულია

„გადაწყვეტილება მიღებულია – ევროკომისია რეკომენდაციას აძლევს ევროპულ საბჭოს, რომ საქართველოს დეკემბერში კანდიდატის სტატუსი მიანიჭოს–იმ თვალსაზრისით, რომ უნდა განხორციელდეს ზოგიერთი რეფორმა“.

აღსანიშნავია, რომ 8 ნოემბერს გამოქვეყნებული ევროკომისიის ანგარიში საკმაოდ ვრცელია. დათქმებს რაც შეეხება, ესენია: პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევა; სამართლიანი არჩევნების ჩატარების პირობა - განსაკუთრებით 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტში; ქვეყანაში ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაუმჯობესება - და ცესკოსთან ერთად, ჩამონათვალს დაემატებიან ეროვნული ბანკი და კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია; სასამართლო რეფორმა - მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმა; კორუფციასთან ბრძოლა; დეოლიგარქიზაცია; ადამიანის უფლებების, უმცირესობების, მედიისა და სამოქალაქო აქტივისტების უფლებების დაცვა. ევროკომისია ასევე ყურადღებას ამახვილებს საჭიროებაზე, რომ საქართველომ თავისი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ევროკავშირისას დაუახლოვოს. ამჟამად ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს თანხვედრის მაჩვენებელი დაახლოებით 43%-ია, როდესაც ორი წლის წინ 60%-ს აჭარბებდა.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე აცხადებს, რომ ევროკომისიისგან სტატუსზე რეკომენდაციის გაცემა „სამართლიანობის აღდგენაა“. „სტატუსის მონიჭება სამართლიანობის აღდგენაა, საქართველო ნებისმიერი პარამეტრით კვლავ მოწინავეა სხვა კანდიდატ ქვეყნებთან მიმართებაში, უწინარესად უკრაინასთან და მოლდოვასთან. ეს ამ ქვეყნების სუვერენიტეტებს არანაირად არ აკნინებს, უბრალოდ ფაქტია ხაზგასასმელი და ამას არაერთი საერთაშორისო კვლევა ადასტურებს, რომ კორუფციასთან ბრძოლის, მართლმსაჯულების თუ სხვა საკითხების მხრივ საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მოწინავე ქვეყანაა“, - ამბობს აბაშიძე, რომლის თქმით, „რადიკალური ოპოზიციის ნარატივით, ეს ხალხს ეკუთვნის, დიახ, ეს ხალხს ეკუთვნის, როგორც „ქართული ოცნების“, ისე ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერებს, სპეკულაცია, რომ სტატუსი ხალხს ეკუთვნის და არა ხელისუფლებას, ეს ძალიან გულუბრყვილო და უცოდინარი ადამიანების მხრიდან ნათქვამია. უცოდინრებს ვგულისხმობ პოლიტიკოსებს, რომლებიც ამაზე ნიშნისმოგებით ლაპარაკობენ. დიახ სტატუსი ყველასია, მაგრამ მთავარი მომლაპარაკებელი კანონიერად არჩეული ხელისუფლება იყო“.

* * *

სტატუსის მიღების შემდეგ საქართველოს ეკონომიკისთვის ახალი შესაძლებლობები გაჩნდება

საქართველომ ევროპისკენ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა - ევროკომისიამ 8 ნოემბერს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების რეკომენდაცია გასცა. გარდა იმისა, რომ იგი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა, საყურადღებოა ეკონომიკური სარგებელიც, რომელიც შეიძლება ქვეყანამ კანდიდატის სტატუსის მინიჭებით მიიღოს. ეკონომისტების ერთი ნაწილი სწორედ ამ ბენეფიტებზე საუბრობს, თუმცა სპეციალისტების მეორე ნაწილი ამ შესაძლებლობებს გადაჭარბებულად მიიჩნევს. ეკონომისტების ერთი ნაწილის შეფასებით, კანდიდატის სტატუსის მინიჭება საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობის გარანტია. როგორც ანალიტიკოსმა გიორგი ცუცქირიძემ აღნიშნა, იგი დადებით გავლენას მოახდენს ინვესტიციებზე, ექსპორტზე, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაზე ევროკავშირის ქვეყნებთან, რაზეც საქართველო, წლებია, მიისწრაფვის.

„როდესაც ქვეყანა იღებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, ეს უკვე დიდი ნაბიჯია ევროკავშირის წევრობისკენ, რომელიც დაახლოებით 2028-29 წლების პერსპექტივაა. ევროკავშირის მიზანია გაფართოვდეს ახალი წევრებით და ამ კუთხით საქართველოც მოიაზრება. პირველ რიგში, სტატუსი ქვეყანას წმინდა ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს. დავიწყოთ იმითი, რომ ქვეყანა როდესაც ხდება ევროკავშირის კანდიდატი, ეს არის სიგნალი ძალიან ბევრი უცხოელი და განსაკუთრებით ევროპელი ინვესტორებისთვის. ქვეყანას მიენიჭება უფრო მაღალი მდგრადობის ხარისხი, რაც პირდაპირ აისახება საერთაშორისო რეიტინგებზე. ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის რეიტინგებს წინ წასწევს, რასაც დროდადრო გვანიჭებენ უცხოური კომპანიები. სერიოზული ფაქტის წინაშე ვართ, საქართველო ხდება რეგიონში ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორი. ასეთი სტატუსი რეგიონში არც ერთ ქვეყანას არ აქვს, გარდა თურქეთისა. კანდიდატის სტატუსი ამ კუთხითაც არის მნიშვნელოვანი, რომ კავკასიის ცენტრი ვხდებით, რაც იყო ისტორიულად, როცა სამხრეთის კარიბჭედ მივიჩნეოდით“, - აცხადებს გიორგი ცუცქირიძე.

„ახლა ევროპა შემოდის საქართველოში და ჩვენ ვხდებით ევროპული ცივილიზაციის წევრი რეგიონში. სტატუსი სერიოზულად აისახება ინვესტიციებზე, საუბარია ასევე ყველა იმ პრიორიტეტზე, რაც ევროკავშირს აქვს. ეს არის მწვანე ენერგეტიკა, ამ მიმართულებით დიდი ინვესტიციები წამოვა. აქედან გამომდინარე, შავი ზღვის კაბელის მეშვეობით გვაქვს შანსი არათუ გავატაროთ ელექტროენერგია ევროპისკენ, არამედ ჩვენც ვაწარმოოთ და ევროკავშირის ქვეყნებში ელექტროენერგიის ექსპორტი განვახორციელოთ. ეკონომიკაზე ეს მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიურად აისახება. გვექნება შესაძლებლობა, ძალიან ბევრი ინვესტორი მოვიზიდოთ, რომლებიც საქართველოში დაიწყებენ პროდუქციის წარმოებას და აქედან გავა ექსპორტზე, რაც დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის“.

„როცა ვსაუბრობთ კანდიდატობიდან როგორ უნდა გავხდეთ ევროკავშირის წევრი, გვჭირდება გამართული ინფრასტრუქტურა, ახალი ტვირთნაკადების შემოსვლა, პორტების დატვირთვა და სხვა. ანაკლიის პორტის ეფექტიც სწორედ ეს უნდა იყოს. ამ ორმხრივ მოძრაობაშია საქართველოს პერსპექტივა. ამას უნდა დავუმატოთ მომსახურების ექსპორტი, ციფრულ პლატფორმაზე გადასვლა, რა მიმართულებითაც ასევე დიდი პერსპექტივაა. გვაქვს ძალიან დიდი რეზერვი, რომ ამ მიმართულებით ინვესტიციები მოვიზიდოთ, ჯანდაცვის, განათლების სფეროების განვითარების თვალსაზრისითაც, დიდი პერსპექტივაა. ნამდვილად ღირსშესანიშნავი ფაქტია, მინდა მივულოცო მთავრობას, პარლამენტს და დიპლომატიურ კორპუსს ქართველ ხალხთან ერთად და ყველას ვინც თითო აგური დადო ამ დღის შესაქმნელად“, - დაასკვნის გიორგი ცუცქირიძე.

კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკომისიის რეკომენდაციას დადებითად აფასებს ეკონომისტი აკაკი ცომაია, თუმცა საუბრობს იმაზეც, რომ მოლოდინი ეკონომიკურ კეთილდღეობასთან დაკავშირებით გადაჭარბებულია. „ინვესტიციების კუთხით რაიმე ცვლილებას არ უნდა ველოდოთ. არ გვაქვს მოლოდინი, ვინაიდან კანდიდატის სტატუსი უნდა მივიღოთ (რეკომენდაციებია და არა საბოლოო გადაწყვეტილება), უცხოელი ინვესტორები დაიძვრებიან საქართველოსკენ. თუმცა, ევროკავშირის და ევროკომისიის დახმარება, გრანტები ინსტისტუციური რეფორმებისთვის, ინსტიტუციური პროექტების მხარდაჭერა გაიზრდება, რაც რეალურად მოსალოდნელია. ეკონომიკური აქტივობა შეიძლება ცოტათი გაიზარდოს, მაგრამ უმნიშვნელო იქნება. კანდიდატის სტატუსი ავტომატურად არ ნიშნავს ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ამას კავშირის წევრობა სჭირდება, მაგრამ აქამდე ვრცელი გზაა გასავლელი“, - აღნიშნა ცომაიამ და იმ ფაქტორებზეც დასძინა, რაც მისი თქმით, საქართველოს განვითარებისთვის დაბრკოლებაა“.

„ელემენტარულად, სასამართლო სისტემა არ იცვლება, ამიტომ ფუნდამენტურად თუ არ შეიცვალა ვითარება, არ უნდა გვქონდეს მოლოდინი, რომ ეკონომიკური აქტივობა გაიშლება. ცხადია, ძალიან გადაჭარბებული შეფასებებია, არც ევროკავშირის წევრობა ნიშნავს, რომ საქართველო აყვავდება, ესეც გადაჭარბებული წარმოდგენაა. ჩვენი განვითარება დამოკიდებულია, რამდენად მოვახერხებთ სტრუქტურული რეფორმების განხორციელებას, ასევე რამდენად შევძლებთ და გავხდებით საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი, რომ შევძლოთ მაღალტექნოლოგიური მომსახურების განვითარება, რაც მსოფლიო მასშტაბით გაიყიდება. ამ ყველაფერს თუ მოვახერხებთ, ნამდვილად მოგვცემს კეთილდღეობას მომავალში, სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ“, - მიიჩნევს აკაკი ცომაია.

სკოლები ავტორიზაციის მოლოდინში

გამარჯვების საჯარო სკოლამ ავტორიზაცია წარმატებით გაიარა

დედოფლისწყაროს სამ საჯარო სკოლაში ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს, მათ შორის ერთში პროცესი წარმატებით დასრულდა. გასულ კვირას გაირკვა, რომ გამარჯვების საჯარო სკოლამ ავტორიზაცია გაიარა. უკვე რამდენიმე თვეა ქ. დედოფლისწყაროს №2, სოფლების: გამარჯვებისა და ქვემო ქედის საჯარო სკოლებში ავტორიზაციის პროცესი მიმდინარეობს. უახლოეს მომავალში გაირკვევა, რა დასკვნა დაიდება დედოფლისწყაროს მეორე და ქვემო ქედის სკოლებთან დაკავშირებით.

რამდენიმე თვის წინ „შირაქი“ წერდა, რომ პროცესი მუნიციპალიტეტის ოთხ სკოლაში მიმდინარეობდა და სექტემბრიდან კიდევ სამთაწყაროს სკოლაც შეუერთდებოდა. თუმცა, გაირკვა, რომ მეოთხე, ანუ ზემო ქედის №2 საჯარო სკოლაში პროცესი ამ დრომდე არ დაწყებულა. გაირკვა ისიც, რომ არც სამთაწყაროს სკოლაში დაწყებულა, რადგან სკოლა სულ მალე ახლადრეაბილიტირებულ შენობაში გადასვლას გეგმავს და უმჯობესია პროცესი სწორედ იქ დაიწყოს და არა ნაქირავებ ფართში, სადაც ისინი უკვე მერამდენე სემესტრია სწავლობენ. სამთაწყაროში სასწავლო პროცესი დაქირავებულ სახლებში სახელდახელოდ მოწყობილ საკლასო ოთახებში მიმდინარეობს.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი კახაბერ ერაძე „შირაქს“ ეუბნება, რომ 2026-27 სასწავლო წლის დაწყებამდე საქართველოში ყველა სკოლამ უნდა მოიპოვოს საქმიანობის გაგრძელების უფლება ავტორიზაციის გზით. ავტორიზებულ სკოლას სტატუსი 6 წლის ვადით ენიჭება. თუმცა თვითშეფასების ფორმები ავტორიზებულმა სკოლებმა ყოველწლიურად უნდა შეავსონ. მისი თქმით, მხოლოდ დოკუმენტების გამართულობა ავტორიზაციის მისაღებად საკმარისი არ არის. საბოლოოდ, სკოლები დალაგდება ჯგუფების მიხედვით - ყველაზე მაღალი შესაბამისობის სკოლები 2023 წელსვე გაივლიან ავტორიზაციას, შედარებით დაბალი შესაბამისობის სკოლები 2024 წელს, ხოლო სადაც ყველაზე დაბალი შესაბამისობა იქნება, გეგმაში 2026 წელს ჩაჯდება.

საჯარო სკოლებში ავტორიზაციის პროცესი სასწავლო წლის დასრულებასთან ერთად დაიწყო. სკოლებმა კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცონ, რომ მათთან სწავლისთვის შესაბამისი პირობები და ადამიანური რესურსია. მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლები ავტორიზაციას ეტაპობრივად გაივლიან. არდადეგების პერიოდში პედაგოგები შესაბამის ტრენინგებს გადიოდნენ. პირველ ეტაპზე პროცესი ქ. დედოფლისწყაროს №2, სოფლების გამარჯვების და ქვემო ქედის სკოლებში დაიწყო. დანარჩენი სკოლები მოლოდინის რეჟიმში არიან.

დეტალების დასაზუსტებლად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელსა და პროცესში ჩართულ სკოლებს ესაუბრა.

მაკა ჯანაშვილი *(საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი):* „გამარჯვების სკოლა იყო პირველი, სადაც ავტორიზაციის პროცესი დაიწყო. ამიტომ მათზე წინ სხვა სკოლა ვერ გაივლიდა ავტორიზაციის ეტაპებს. მალე ჩაინიშნება საავტორიზაციო საბჭოს სხდომა მეორე სკოლისთვისაც. ზემო ქედის №2 სკოლას პროცესი არ დაუწყია, თუმცა სკოლას არავითარი ხელისშემშლელი გარემოება არ გააჩნია საიმისოდ, რომ ავტორიზაცია წარმატებით გაიაროს. მოკლე პერიოდში ეს სკოლაც ჩაერთვება და აუცილებლად გახდება ავტორიზაციის სტატუსის მქონე. როდესაც სამთაწყაროს სკოლა საკუთარ შენობაში დაბრუნდება, შემდეგ დაიწყებენ საავტორიზაციო პროცესებს. სამთაწყაროს სკოლის შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები თითქმის დასრულებულია... როდესაც ექსპერტთა ჯგუფი სკოლაში შედის და ამოწმებს, თუ რამდენადაა სკოლა მზად საიმისოდ, რომ მას მიენიჭოს ავტორიზაცია, ამის შემდეგ თითოეული იმ სკოლისთვის იმართება საბჭოს სხდომა, სადაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დასკვნის საფუძველზე გადაწყდება სკოლას მიენიჭოს ავტორიზაცია თუ არა. ახლა ძალიან მალე ჩაინიშნება ქალაქის მეორე სკოლისთვის სხდომა, შემდეგ იქნება ქვემო ქედის დასკვნა. ამასობაში პროცესს შეუერთდებიან ის სკოლებიც, რომლებსაც არ დაუწყიათ პროცესი. ფაქტობრივად ყველა სკოლა უნდა გახდეს ავტორიზირებული. შესაძლოა, ყველა სკოლამ ვერ დააკმაყოფილოს ის კრიტერიუმები, რითაც ფასდება პროცესი. ამ შემთხვევაში სკოლას მიეცემა გონივრული ვადა საიმისოდ, რომ მან აღნიშნული რეკომენდაცია შეასრულოს და ყველაფერი გააკეთოს დადებითი შედეგისთვის“.

ზემო ქედის №2 სკოლის დირექტორი **თამარ ნებიერიძე** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ მზად არიან ავტორიზაციის პროცესი დაიწყონ, თუმცა როდის დაიწყება მისთვის უცნობია.

ნინო სულიაშვილი *(გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი):* „მადლობა მთელ სასკოლო საზოგადოებას, ვინც წვლილი შეიტანა სკოლის წარმატებაში. რესურსცენტრს, რომელიც მუდმივად მხარში გვედგა, განსაკუთრებული მადლობა ბუღალტერს, მოადგილეს და საქმის მწარმოებელს, რომლებიც მთელი ზაფხულის განმავლობაში, მთელი დღე და გვიან ღამემდე ჩემთან ერთად, შვებულებისა და დამატებითი ანაზღაურების გარეშე ერთგულად მუშაობდნენ და ოჯახის წევრების ზარზე „ცოცხლები ხართ“? პასუხობდნენ - „ჯერჯერობით“. საქმის ერთგულებამ და დიდმა შრომამ შედეგი გამოიღო - რაიონში პირველი ავტორიზირებული სკოლაა - გამარჯვების საჯარო. უზომოდ ბედნიერი ვარ! მადლობა ჩემს ოჯახს, შვილებს,შვილიშვილებს, რომ მთელი ზაფხული მათი დედა და ბებია აღარ ვიყავი. მადლობა ყველას ვინც სკოლას გულშემატკივრობდა“.

ლელა დარძული *(ქვემო ქედის სკოლის დირექტორის მ/შ):* „ჩვენმა სკოლამ აგვისტოში მაძიებლის სტატუსი მიიღო, 16–17 ოქტომბერს გვყავდა განათლების სამინისტროს ექსპერტთა ჯგუფი, რომელთაც ადგილზე შეამოწმეს ჩვენი მუშაობა და ახლა მათ დასკვნას ველოდებით“.

„შეირჩა და შედგა ჯგუფები, რომლებიც კონტროლს გაუწევდნენ თითოეული კათედრის მუშაობას. კათედრების მიხედვით გავიარეთ შესაბამისი ტრენინგები. ცალკე, თითოეული კათედრა მუშაობდა, სამინისტროს ჯგუფის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოგვივიდა ჩამონათვალი, ძირითადად რაზე გაამახვილებდნენ ყურადღებას. კათედრებზე თავი მოვუყარეთ შესაბამის მასალებს. ჯგუფი როცა ჩამოვიდა, შეამოწმეს მასალები და თითოეულ კათედრას ცალკ-ცალკე გვქონდა ონლაინ-გასაუბრება უშუალოდ ჩვენი საგნის სამინისტროს წარმომადგენელთან. ე.წ. კურიკულუმებიც იყო სამინისტროს ჩამონათვალში, რაზეც ძირითადად ამახვილებდნენ ყურადღებას. ითხოვდნენ კომპლექსურ დავალებებს და უკვე შესრულებული კომპლექსურების ნიმუშებს. კურიკულუმში გაწერილია სახელმძღვანელოს ყველა პარაგრაფი და მონიშნულია ის თავი თუ ქვეთავი, რომელზეც ვაკეთებთ კომპლექსურ დავალებას, შესაბამის გრაფაში კი გაწერილია კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო მოქმედებები.“ - აღნიშნავენ პედაგოგები.

ილია მარტყოფლიშვილი

თაობათა ცვლა „ახალგაზრდულ იდეაში“

მოზარდებით დაკომპლექტებული არასამთავრობო ორგანიზაცია „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეა“ მუშაობას კვლავაც აქტიურად განაგრძობს. გასულ თვეში გუნდში კიდევ ერთი ახალი ნაკადი მიიღეს. ამჯერად 7 მოსწავლე შეარჩიეს: ლიზი ბენაშვილი, გიორგი ღვედაშვილი, თათია ბოჭორიშვილი, ლუკა მენთეშაშვილი, ველი მამედოვი, ირაკლი საბიაშვილი და გურამ გოგაშვილი.

ევროპის ფონდის დაფინანსებით „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეა“ 2010 წლიდან მოქმედებს და ამ ხნის მანძილზე არაერთი თაობა გამოიცვალა. მათ ანგარიშზეა უამრავი საინტერესო პროექტი, რომელიც ევროპული დაფინანსებით საკუთარ სოფლებსა თუ სკოლებში განახორციელეს. იდეა ყოველთვის აქტიურ მოზარდებს აერთიანებს.

როგორც „დედოფლისწყაროს ახალგაზრდული იდეის“ პრეს-სპიკერი ნინო მარტყოფლიშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, ამჯერად ევროპის ფონდის ახალგაზრდული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 18 მუნიციპალიტეტში შექმნილია ახალგაზრდული იდეის კომიტეტები, რომლებიც თავიანთი მრავალფეროვანი აქტივობებით აგვარებენ ადგილობრივი თემის პრობლემებს.

ნინო მარტყოფლიშვილი: „ახალი წევრები სულ ორი კვირაა რაც გავიცანი. რამდენიმე დღის წინ უკვე იყვნენ კაჭრეთში, სასტუმრო ამბასადორში ტრენინგები გაიარეს, გადაინაწილეს სტატუსები და ვიწყებთ ერთად მუშაობას. მათთან პირისპირ შეხვედრა ჯერ ჩვენ არ გვქონია, ამიტომ ჯერჯერობით მათზე სხვა ვერაფერს გეტყვით. მალე დაიწყებენ კვლევის ჩატარებას. საზოგადოების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთება სამი პრობლემა. შემდეგ ამ თემების ირგვლივ დეკემბერში გამოცხადდება საგრატო კონკურსი ამ სამ თემაზე. გამოცხადდება გამარჯვებული პროექტები, მიიღებენ დაფინანსებას და მოზარდები თავად განახორციელებენ მათ იდეებს. ახლა შერჩეული წევრები კი ამ ყველაფრის ორგანიზებას გააკეთებენ“.

მარიამ ჯინჭარაძე *(ევროპის ფონდის კოორდინატორი):* „ჩვენი მიზანია ახალგაზრდები ჩავრთოთ სამოქალაქო ცხოვრებაში და მათვე შეარჩიონ რა პრობლემებია საკუთარ სოფელსა თუ თემში. მათვე ვაძლევთ დაფინანსებას და შეუძლიათ საკუთარი თანატოლების იდეები დააფინანსონ. საგრანტო კონკურსი ყოველწლიურად ცხადდება და წელიწადში 4 იდეის დაფინანსება მოხდება. დაფინანსების მიღების შემდეგ შესაძლებლობა ჩნდება მოაგვარონ რაიმე პრობლემატური საკითხი, რაც ადგილზე მათ აწუხებთ. ახლადშერჩეული გუნდი დედოფლისწყაროში სულ მალე გამოაცხადებს იდეების მიღებას, შემდეგ თავადვე განიხილავენ და გამარჯვებულებს გამოავლენენ. სწორედ ამ მიზნით მათ ჩაუტარდათ გადამზადება და შეისწავლეს უნარ-ჩვევები, რის დახმარებითაც შეძლებენ ამ აქტივობებს გაუძღვნენ და მართონ პროცესი“.

რატომ ჰქონდათ მოზარდებს ამ გუნდში მოხვედრის სურვილი, რამდენად რთული იყო შერჩევის პროცესი და რა გამოცდილების მიღების მოლოდინი აქვთ დედოფლისწყაროელ ახალგაზრდებს, ამ საკითხებზე „შირაქი“ შერჩეულ მოსწავლეებს ესაუბრა

ლუკა მენთეშაშვილი: „ახალგაზრდულ იდეაში“ მოხვედრა სულ მინდოდა, რადგან სურვილი მქონდა გამეუმჯობესებინა ჩემი შესაძლებლობები. ასევე ამით მეძლევა შესაძლებლობა ჩემი თემის პრობლემები მოვაგვარო. ამ გუნდში მოხვედრა ჩემთვის ძალიან კარგია, რადგან აქ მიღებული პრაქტიკული გამოცდილება მომავალში აუცილებლად გამომადგება“.

თათია ბოჭორიშვილი: „ახალგაზრდულ იდეაში“ მოხვედრის დიდი სურვილი მქონდა, რადგან ვფიქრობ, რომ მისი დახმარებით შესაძლებელია საკუთარი შესაძლებლობის წარმოჩენა და უფრო მეტად განვითარება. ასევე, შესაძლებელია სხვადასხვა პრობლემების ერთობლივად გადაჭრა. გარდა ამისა, „ახალგაზრდულ იდეის“ თითოეულ წევრს აქვს შესაძლებლობა პიროვნული განვითარების. ეს გამოცდილება გვეხმარება კომუნიკაციის მარტივი და ეფექტური გზით დამყარებაში დიდი კონკურენცია იყო, ბევრს უნდოდა მოხვედრა. რთული კითხვები იყო და მარტივად არ მოვხვედრილვართ. ჩვენი სკოლიდან ათი მსურველი იყო და მხოლოდ ხუთი დაგვამტკიცეს. დანარჩენი ორი წევრი სოფელ არხილოსკალოდანაა“.

რამდენიმე თვის წინ „შირაქი“ უკვე წერდა, რომ ზაფხულში, არდადეგების დაწყებამდე „ახალგაზრდული იდეის“ ძველმა წევრებმა წინა წელს განხორციელებული პროექტების ანგარიში წარადგინეს.

ილია მარტყოფლიშვილი

ელექტროსიგარეტის საფრთხეები

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების წინააღმდეგ არაერთი ამკრძალავი წესი მოქმედებს, მოზარდებში სიგარეტის მოხმარება მაინც პრობლემად რჩება. თანაც, თამბაქოს მოხმარების გარდა, ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა ე.წ. ვეიპები, ელექტრონული სიგარეტები, რომლების ყიდვაც მოზარდებს ძალიან მარტივად შეუძლიათ და ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ არანაირი საფრთხის შემცველი არაა მისი მოხმარება.

თამბაქოს საფრთხეებზე, ასევე მარიხუანის მავნებლობაზე არაერთხელ გვისაუბრია, ამჯერად გადავწყვიტეთ, ელექტრონულ სიგარეტზე ვრცლად მოგვეძიებინა ინფორმაცია და სპეციალისტსაც მივმართეთ კომენტარისთვის. მანამდე კი ჩვენი რამდენიმე მკითხველის კომენტარს გთავაზობთ, როგორც მშობლის, ისე მოზარდის:

„ძალიან შეშფოთებული ვარ, დღევანდელ ბავშვებს რომ ვუყურებ. ქუჩაში შეიძლება მოდიოდეს 13-14 წლის მოზარდი და სიგარეტს მოაბოლებდეს. ადრეულ ასაკში სიგარეტის მოწევა ყოველთვის იყო პრობლემა, მაგრამ ასე მასობრივად მართლა არ მახსოვს გასული წლებიდან. გოგონებიც ასე საჯაროდ ნამდვილად არ ეწეოდნენ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც სრულიად „არამოდური“ გახდა თამბაქოს მოწევა, ჩვენთან პირიქითაა... ჯერ ისედაც საშინელ ეკოლოგიურ გარემოში ცხოვრობს ეს თაობა და ახალგაზრდობიდანვე რომ სიგარეტით გაინადგურებს ფილტვებს, რა ჯანმრთელობა შერჩებათ. მეჩვენება თუ მართლაც ასე მომატებულია ბავშვებში თამბაქოს მოხმარება, იქნებ თქვენც დამეხმაროთ ამის გარკვევაში“. „ჩემი შვილის კლასში რამდენიმე თამბაქოს ეწევა, რამდენიმე კი ელექტროსიგარეტს და ვითომ ამტკიცებენ, რომ ეს სულ სხვა რამაა და უბრალოდ ერთობიან. საკმაოდ მომრავლებულია ელექტრონული სიგარეტით გატაცებული ბავშვები და მაინტერესებს, რა საფრთხეებს შეიცავს სინამდვილეში?“ „ბევრი ჩემი ტოლი ეწევა. სიგარეტს იმდენი არა, რადგან არც ყველა მაღაზიაში იყიდება და შეიძლება ბავშვს არც მიჰყიდონ. ზოგს სიგარეტის გემო არ მოსწონს და ურჩევნიათ ელექტროსიგარეტი მოწიონ. იმას ნაირ-ნაირი არომატი აქვს, ატმის, მანგოს... ტიკტოკზეც უკვე ძალიან ტრენდული გახდა ამ მოწყობილობის გამოჩენა. დგას ვინმე ქართველი თინეიჯერი და ვიდეოში გაჩვენებს, რამდენი არომატის ელექტროსიგარეტი აქვს დაგროვილი. სუპერმარკეტებში იყიდება და მგონი 20 ლარი ღირს. ჩემმა ნაცნობებმა ყველამ თვითონ იყიდა, უპრობლემოდ მოგყიდიან, არ გიშლის ხელს, ბავშვი რომ ხარ. გოგონებიც და ბიჭებიც ეწევიან, თუმცა ჩემ ირგვლივ უფრო მეტი ბიჭი ეწევა. სკოლაშიც მოაქვთ. ტუალეტშიც ეწევიან და კლასშიც. გაკვეთილზეც მოუწევიათ. მასწავლებელი ზურგით იყო მიბრუნებული დაფისკენ, ამოიღო ჩემმა კლასელმა, გააბოლა და კვამლი ხელით უცებ გაანიავა. სუნით ვერ მიხვდები, რომ ოთახში ვინმემ მოწია. ამით ძალიან მოხერხებულია. დასვენებებზე კლასში ეწევიან, თან ერთის პირში ნადები შეიძლებმა სხვებმაც მოწიონ. ვინც მუდმივად ეწევა და სკოლაში ყოველთვის მოაქვს, იმისას სხვებიც სინჯავენ. ვითომ არ ეწევა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, თვითონ არ ყიდულობს, სამაგიეროდ, კლასელებისას ეწევა. ამ პანდემიის დროს ერთმანეთის პირში ნადები ნივთი მართლა საშინელებაა, მაგრამ მაინც ტრენდულია - თუ ეწევი, კაი ტიპი ხარ, ან პირიქით... მშობელი ვერ მიხვდება, რადგან სუნი არ აქვს, ზოგმა შეიძლება უცებ ვერც იცნოს, რა არის".

რა არის ელექტრონული სიგარეტი

ელექტრონულმა სიგარეტმა უზარმაზარი პოპულარობა განსაკუთრებით ბოლო პერიოდში მოიპოვა, მისი მომხმარებლები კი ხშირად მოზარდები არიან. სწორედ ამიტომ, მეცნიერებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყეს შესწავლა, რა ზიანის მოტანა შეუძლია ელექტრონულ სიგარეტს მოზარდის ჯანმრთელობისთვის.

კვლევების შედეგად ცნობილი გახდა, რომ მის ორთქლში შემავალი ნიკოტინი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანის თავის ტვინზე, ნერვულ სისტემასა და გულზე. ასევე, ის არტერიული წნევისა და გულისცემის მატებას განაპირობებს, რამაც შესაძლოა არითმია გამოიწვიოს. ზოგჯერ, ნიკოტინის მაღალი დოზის მიღების შედეგად სასიკვდილო შედეგიც კი დადგეს. ასევე, კვლევებით დადგინდა, რომ მასში შემავალმა ორმა ინგრედიენტმა, გლიცერინმა და პროპილენგლიკოლმა შესაძლოა გამოიწვიოს ფილტვების, ბრონქებისა და კუჭ-ნაწლავის სისტემის პათოლოგიური დარღვევა.

გარდა ამისა, ის იწვევს დამოკიდებულებას და თუ მოზარდი კვლავ არ გამოიყენებს, შეიძლება გაუჩნდეს დაღლილობის, დეპრესიისა და გაღიზიანების განცდა. ნიკოტინის მუდმივი გამოყენება, თუნდაც მცირე რაოდენობით, სერიოზულ დაავადებებს იწვევს. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების გარდა, შესაძლოა გამოიხატოს: გასტრიტი, კუჭის წყლული, გულის პრობლემები. ნიკოტინის გამოყენება, ნებისმიერი ფორმით, შესაძლოა დამოკიდებულებისა და სიგარეტის მოწევის წინაპირობა გახდეს. ამიტომაც, მოზარდს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რა ზიანი ადგება მის ორგანიზმს ელექტროსიგარეტის გამოყენებით.

ელექტროსიგარეტი შესაძლოა ინჰალატორს შევადაროთ, რომელშიც სითხის ჩასხმა აუცილებელია. ეს სითხე კი შედგება: გლიცერინისგან, პროპილენგლიკოლისგან, არომატული დანამატებისგან და ნიკოტინისგან, თუმცა ყოველთვის არა. მწველელების მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ელექტრონული სიგარეტი უსაფრთხოა. სინამდვილეში კი სპეციალისტები ამბობენ, რომ ელექტრონული სიგარეტის მოწევის დროს გამოყოფილი ორთქლი 31 საშიშ ნივთიერებას შეიცავს. გარდა ამისა, იმ არომატების 75 %-ში, რომლებიც გამოყენებულია ელექტრონულ სიგარეტში, ტოქსიკური ქიმიური ელემენტები აღმოაჩინეს. უფრო ზუსტად კი ნივთიერება დიაცეტილი ბრონქიოლების ანთებასა და ნაწიბურების წარმოქმნას იწვევს. გარდა ამისა, სითხეში შემავალი ნივთიერებები, როგორიცაა იგივე პროპილენგლიკოლი, იწვევს დამოკიდებულებას, ასევე ალერგიულ რეაქციებს, არღვევს ძილის ფუქნციას, აზიანებს თირკმელს. პროპილენგლიკოლისა და გლიცერინის დაშლა ტოქსიკურია ორგანიზმისთვის. აზიანებს თვალის ლორწოსა და სასუნთქ სისტემას, იწვევს ცრემლდენას და მუტაგენურ თვისებებსაც ავლენს. ელექტრონული სიგარეტის გამოყენებით ზიანდება ასევე ცენტრალური ნერვული სისტემა. ნიკოტინის ხშირი და ზედმეტი დოზით გამოყენებამ კი შესაძლოა სიმსივნის რისკები გაზარდოს. გარდა ამისა გამოიწვიოს თავბრუსხვევა, გულისრევა, თავისა და მუცლის ტკივილი, დიარეა, ზოგადი სისუსტე. ასევე, არის შემთხვევები, როდესაც ელექტრონულ სიგარეტს ქარხნული წუნი აქვს, ფეთქდება, ტყდება და აზიანებს მომხმარებლის სახეს. გარდა ამისა, რამდენიმე ადამიანში ერთი ელექტრონული სიგარეტის გამოყენება ზრდის სხვადასხვა ინფექციის გადადების რიკებს, მაგალითად, როგორებიცაა ჰეპატიტი და ტუბერკულოზი.

ყველა მწეველმა უნდა იცოდეს, რომ ეს არ არის სიგარეტის მოწევის კარგი ალტერნატივა და ელექტროსიგარეტის გამოყენებამ შესაძლოა ძალიან მძიმე დაავადებების განვითარება გამოიწვიოს.

მსოფლიოში უკვე მრავალი ფაქტი არსებობს, როცა ელექტრონული სიგარეტის გამოყენების გამო მოზარდები სერიოზულად დაზიანდნენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოზარდს ფილტვის გადანერგვა დასჭირდა. რუსეთში კი ფილტვის სერიოზული დაზიანება გამოიწვია. უფრო კონკრეტულად კი, 17 წლის ბიჭს სუნთქვის მწვავე უკმარისობა განუვითარდა, რომელიც შესაძლოა ფატალურად დასრულებულიყო. საბედნიეროდ, ექიმებმა დროულად აღმოუჩინეს დახმარება და გაარკვიეს, რომ ელექტრონულ სიგარეტში შემავალი ნივთიერებებისგან დადგა ეს შედეგი. ჰოსპიტალიზაციამდე 2 კვირით ადრე ბიჭს ქოშინი, ხველა, კუჭის ტკივილი და ტემპერატურა განუვითარდა. გარდა ამისა, დაიკლო 10 კილოზე მეტი. ცნობილია, რომ ის თვე-ნახევრის განმავლობაში ელექტროსიგარეტს იყენებდა. ამ დროისათვის, პაციენტი უკვე სახლშია გაწერილი და მეთვალყურეობის ქვეშ რჩება.

ექიმები ერთხმად თანხმდებიან, რომ ელექტრონული სიგარეტების გამოყენებას ფილტვების სერიოზული დაზიანების გამოწვევა შეუძლიათ.

ორ ჯგუფად იყოფიან ელექტროსიგარეტის მწველელები: სიგარეტის ყოფილი მწველელები და ახალი „სიგარეტის" მწველელები. მისი გამოყენების მიზანი კი სხვადასხვა. მაგალითად, მისი დახმარებით შეწყვიტონ სიგარეტის მოწევა, მოიცილონ თამბაქოს არასასიამოვნო სუნი, ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგიური ჩვევა ან კიდევ ინტერესი. მწველელები თვლიან, რომ ელექტრონული სიგარეტის გამოყენება აბსოლუტურად უსაფრთხოა, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ უფრო მეტი კვლევა ქვეყნდება ფაქტის საწინააღმდეგოდ.

თუ მშობელი ხართ და უკვე იცით, რომ თქვენი შვილი იყენებს ელექტროსიგარეტს და თან, აქტიურად, მაშინ, როცა აკრძალვას გადაწყვეტთ, აუცილებელია ნაბიჯ-ნაბიჯ მიხვიდეთ შედეგამდე. პირველ რიგში, შვილს შეუდგინეთ სამოქმედო გეგმა, კონკრეტული თარიღი დაუწესეთ, რომლიდანაც შეწყვეტს გამოყენებას. იქამდე, ნელ-ნელა შეამცირეთ მოწევის ინტენსივობა, მოიფიქრეთ თავისუფალი დროისთვის სახალისო აქტივობები, მაგალითად, სპორტული აქტივობები, მუსიკა, ხატვა და სხვა. უფრო მეტიც, სასურველია მსგავს აქტივობებში ხელები იყოს ჩართული და მოზარდს შემოქმედებითი თვითრეალიზაციის შესაძლებლობა მიეცეს. ამ დროს, მნიშვნელოვანია მწველელ თანატოლებთან ერთად არ წავიდეს გასართობად, რომ კვლავ არ მოუნდეს გამოყენება. გამოუმუშავეთ ნებისყოფა, მაგრამ ძალიან ფრთხილად იყავით. პირდაპირი და მკაცრი აკრძალვის შემთხვევაში, შესაძლოა, საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოთ. ყურადღება უნდა გადაატანინოთ და ნაბიჯ-ნაბიჯ წარმართოთ პროცესი. გარდა ამისა, ზუსტად უნდა აუხსნათ, რა ზიანს აყენებს მის ჯანმრთელობას ელექტროსიგარეტის გამოყენება. ასევე, ვუთხრათ, რა უპირატესობა ექნება, თუ თავს დაანებებს, მაგალითად, უფრო მეტი ჯიბის ფული დარჩება, მოემატება ძალა და ენერგია. ეს სია დაუდეთ იმ მაგიდაზე, სადაც მეცადინეობს. ოჯახის წევრების მხარდაჭერის გარეშე მოზარდს ამ პრობლემასთან გამკლავება ძალიან გაუჭირდება. როდესაც თქვენს შვილს ესაუბრებით და ეუბნებით, თავი დაანებოს მოწევას, აუცილებლად უნდა გამოხატოთ მხარდაჭერა და თანაგრძნობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იცოდეს, ამას საკუთარი თავისა და ჯანმრთელობისთვის აკეთებს.

კავკასიის მედიცინის ცენტრის ექიმი ტოქსიკოლოგი ოთარ დიხამინჯია განმარტავს, რა საფრთხეს შეიცავს ელექტრონული სიგარეტი: „ელექტრონული სიგარეტი წარმოადგენს ელემენტზე მომუშავე მოწყობილობას, რომელიც იწვევს მასში მოთავსებული სითხის აორთქლებას და აეროზოლის წარმოქმნას. თავდაპირველად, ელექტრონული სიგარეტი გამოჩნდა ჩინეთის ბაზარზე, 2003 წელს, ხოლო 2006 წლიდან ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. დღიდან მისი გამოჩენისა, დაიხვეწა მოწყობილობის დიზაინი და მასში შემავალ სითხეში არსებული კომპონენტები გამრავალფეროვნდა.

ელექტრონული სიგარეტის მოხმარების სტატისტიკა მზარდია, როგორც ახალგაზრდებში, ასევე, განსაკუთრებით, მოზარდებში, რაც საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ელექტრონულ სიგარეტში შემავალი კომპონენტები მრავალფეროვანია: ნიკოტინი, პროპილენგლიკოლი, არომატიზატორები (ამ ეტაპზე გამოიყენება 7000 დასახელების არომატიზატორი).

ელექტრონული სიგარეტით გამოწვეული მავნე ეფექტები ბოლომდე არ არის შესწავლილი და ამ დრომდე ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში მულტიცენტრული კვლევები, თუმცა გარკვეული ინფორმაცია მის მავნე გავლენებზე უკვე არსებობს.

ნიკოტინით გამოწვეული მავნე ეფექტები, დამოკიდებულია ელექტრონულ სიგარეტში ნიკოტინის შემცველობაზე. ნიკოტინი უარყოფით გავლენას ახდენს გულსისხლძარღვთა სისტემაზე და წარმოადგენს მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკ-ფაქტორს.

ელექტრონული სიგარეტის ორთქლის მავნე ეფექტები: ელექტრონული სიგარეტის კვამლი, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტისგან, მართალია, არ შეიცავს ისეთ მავნე პროდუქტებს, როგორებიცაა: ნახშირბადის მონოქსიდი (CO), მავნე აირები და ა.შ, თუმცა 2019 წელს დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ აშშ-ში აღწერილი იქნა 2000-ზე მეტი შემთხვევა, როდესაც ელექტრონული სიგარეტის ხანგრძლივად მომხმარებლებს განუვითარდათ ელექტრონული სიგარეტის ორთქლით გამოწვეული ფილტვების მძიმე დაზიანება და საჭირო გახდა შესაბამისი სპეციალისტების, პულმონოლოგების, ჩართვა მათ მკურნალობაში.

ამ დრომდე, შესწავლის საგანს წარმოადგენს ასევე ელექტრონული სიგარეტის ორთქლით გამოწვეული ისეთი მავნე ეფექტები, როგორებიცაა, ქრონიკული ხველა და ბრონქიტი.

მიმდინარეობს კვლევები პროპილენგლიკოლის კანცეროგენულ გავლენაზე ორგნიზმმზე, ასევე სახადასხვა არომატიზატორში მძიმე მეტალების შემცველობაზე.

მოწევისთვის თავის დანებებაში არ არის დადგენილი ელექტრონული სიგარეტის როლი. ამერიკის შეერთებული შტატების წამლის სააგენტოს მიერ ელექტრონულ სიგარეტს არა აქვს მინიჭებული ავტორიზაცია, როგორც მწველელობისთვის თავის დანებების სამედიცინო საშუალებას.

ყოვილევე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ელექტრონული სიგარეტი, ისევე, როგორც ტრადიციული სიგარეტი, წარმოადგენს ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის საზიანო პროდუქტს და მისი გამოყენება არ არის რეკომენდებული.

თამაზ ყარაგვეზაშვილის მებრძოლები ახალ სახეობებშიც წარმატებებს აღწევენ

ქალაქ თბილისში, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბაზაზე აღმოსავლური ორთაბრძოლა „ტოკიმა“-ს საერთაშორისო მსოფლიო ორთაბრძოლების ფესტივალი გაიმართა. ფესტივალზე მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქვეყნის სპორტულმა გუნდებმა ჩემპიონატის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე თამაზ ყარაგვეზაშვილი.

ორთაბრძოლების მსვლელობა მიმდინარეობდა ოქტაგონზე, შოუ პროგრამის თანხლებით, რომელიც წარმოადგინეს ქ.თბილისის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „აისი“-მ და დედოფლისწყაროს თანამედროვე ცეკვების სტუდია „ვარსკვლავებმა“. ჩემპიონობა მოიპოვეს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში და წონით კატეგორიაში მებრძოლებმა:

ირანი: **ფარშად მორშედი, ამიაბას სეფი; მოჰამოდრემა ხადივი; ალიენ ზადენი; მათინ პეუმანფარი;** აზერბაიჯანი: **ალვინ ელიევი ასევე,** საქართველოს გამარჯვებული სპორტსმენები სხვადასხვა ქალაქებიდან:

რუსთავი (მწვრთნელი ზურაბ ჩიტრიკაშვილი):

- მათე ჩხეტიანი;
- დავით ნიორაძე;

თიანეთი: (მწვრთნელი მიშა გორთამაშვილი)

- გიორგი მოსახლიშვილი;
- მიხეილ ჯიმშიტაშვილი;
- ოთარ წოწონავა;

სიღნაღი (მწვრთნელი დავით სარდალიშვილი):

- თორნიკე სიმონიშვილი;
- მარიამ დარჩიაშვილი;

გარდაბანი:

- მურად ახნესოვი;
- იმათ მამედოვი;
- ემრე გაჯიევი;
- ფაშა ბაირამოვი;

ქ. თბილისი:

- დავით ბოსტოღანაშვილი (მწვრთნელი იგორ დენისენკო)
- დავით ჯანჯალია (მწვრთნელი გიორგი კანკავა)
- ლალა სოზიაშვილი (მწვრთნელი ნიკა ბეგოიძე)
- მარიამ ფაილოძე (მწვრთნელი ნიკა ბეგოიძე)
- ელენე ლოლაძე (მწვრთნელი ნიკა ბეგოიძე)

ქ. დედოფლისწყარო (მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი)

- მარიამ ჩაჩანიძე
- სალომე ჩოქური
- თამარ მირზაშვილი
- გიორგი ჯამასპიშვილი
- ლუკა ტუმასიანი
- გიორგი ქადაგიშვილი
- მიხეილ გაღდასარიანი

თამაზ ყარაგვეზაშვილი (მწვრთნელი): „ეს კიკბოქსინგი არ არის, ახალი სახეობაა და ჩემი გუნდიც გამომეცადა მასში. საქართველოში ასეთი რამ პირველად ჩატარდა. ჯერ დედოფლისწყაროში ვაპირებდი გამართვას, მაგრამ ვინაიდან სხვა ქვეყნებიც ჩამოვიდნენ და მათ დაბინავება ჭირდებოდათ, გადავწყვიტეთ თბილისში გამართულიყო, თორემ მთლიანად ჩემი ორგანიზებული იყო ყველაფერი. ეს სახეობა ისეთია, უნივერსალური მებრძოლი უნდა



იყოს და ყველა ტექნიკაში ძლიერი. რაც მთავარია, მსაჯები მთლიანად უცხოელები იყვნენ, მაღალი რანგის საერთაშორისო მსაჯები. მათი შეფასებების მიუხედავად დედოფლისწყაროელებმა წარმატების მიღწევა შეძლეს. ყველაფერმა იდეალურად ჩაიარა. ჯერ მხოლოდ 16 ირანელი გოგონა იყო ჩამოსული და ძალიან მოვინდომე, რომ მთელი საქართველოდან მათთვის სათანადო მეტოქეები შემერჩია. რაც შეეხება ჩემს მებრძოლებს, მარიამ ჩაჩანიძემ დიდი სტიმული მოგვცა. ჯერ მხოლოდ 11 წლისაა, პირველად გავიყვანე ამ დონის ტურნირზე და ძალიან კარგი გამოსვლა აჩვენა. ის ყველაზე პატარა მონაწილე იყო და მართლა არ ველოდი, თუ ასე კარგად გაითავისებდა მის დავალებას. მივუთითე, რომ მას ქართველობა უნდა დაეცვა და უცხო ქვეყნების წინაშე ესახელებინა ჩვენი ქვეყანა. როგორც ჩანს ეს სულისკვეთება გავუღვივე. გოგონათა ბრძოლები მან გახსნა და ისეთი სახე აჩვენა, მაყურებელი გადარია. სალომე ჩოქური საქართველოს ჩემპიონია კრივში, მაგრამ ინტენსიურ ვარჯიშს ვეღარ ახერხებს, კარგად ვერ მოემზადა, მაგრამ კლასი მაინც აჩვენა. თამუნა მირზაშვილი მძიმე წონაში გამოდიოდა და მოგეხსენებათ ეს სულ სხვაა. ნოკაუტით მოიგო ირანელთან. ბიჭებიც კარგად გამოვიდნენ. გიორგი ჯამასპიშვილმაც ნოკაუტით მოიგო, ტუმასიანი და ქადაგიშვილიც კარგად გამოვიდნენ. ამ ჩემპიონატის საუკეთესო ბრძოლა ჩაატარა მიხეილ ბაღდასარიანმა.

რაც შეეხება ჩემთვის გადმოცემულ ქამარს — ზოგადად, როცა მასწავლებელი ჯილდოვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია და ხელმძღვანელობა თუ საზოგადობა ხაზს უსვამს მის ღვაწლს პედაგოგიურ საქმიანობაში. ამიტომ ძალიან გამიხარდა, რომ გამოიჩინეს ყურადღება და დამაჯილდოვეს წლების მანძილზე გაწეული შრომისთვის. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარში მიდგას ახალგაზრდობის აღზრდის და სპორტულ არენაზე მათი წარმოჩენის საქმეში“.

თამარ მირზაშვილი: „სიმართლე გითხრათ ასე მოკლე დროში არ ელოდი ნამდვილად გამარჯვებას. ჩემი მოწინააღმდეგეც ძლიერი მებრძოლი იყო, მაგრამ მაინც შევძელი დამარცხება. ჩემი მწვრთნელის თამაზ ყარაგვეზაშვილის დამსახურებით. ბავშვობიდან ჩემი ოცნება იყო კრივი. ყოველთვის მომწონდა ეს სპორტი და მქონდა სურვილი მევლო. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ვმუშაობ და ამის გამო სათანადო რეჟიმში ვერ ვვარჯიშობ, ბოლომდე ჩართული ვერ ვარ, მაგრამ ჩემმა შრომამ შედეგი მაინც გამოიღო. თამაზი მასწავლებელი ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანია ჩემთვის. არ ვიცი როგორ აგიხსნათ, ის ყველაფერია ჩემთვის, მწვრთნელიც, მეგობარიც, დამრიგებელიც. ფსიქოლოგიურად იმდენად მედგა გვერდში, რომ ყოველთვის იმედით მავსებდა. რა სიტუაციაშიც არ უნდა ვიყო, ის ჩემი საყრდენია. მართლა საუკეთესო ადამიანია, მიხარია რომ ვიცნობ და ის ჩემი მწვრთნელია“.

სალომე ჩოქური *(ტურნირის ჩემპიონი):* „მოგება გამიჭირდა, რადგან ფორმაში არ ვიყავი, სათანადოდ ვერ მოვემზადე. თუმცა, შესაძლებლობების მაქსიმუმი დავდე. ვარჯიში 8 წლის წინ თამაზ ყარაგვეზაშვილთან ერთად დავიწყე და დაახლოებით 3 წელია სერიოზულად მოვეკიდე. ვფიქრობ, ჩემთვის შესანიშნავი შესაძლებლობაა და გატაცება, სადაც მომავალში ვხედავ საკუთარ თავს და პოტენციალს. რა თქმა უნდა, მწვრთნელის დახმარებით. სწორედ მან შემაყვარა ეს სპორტი და დამანახა საკუთარი თავი უფრო უკეთესად. სირთულეების და პრობლემების მიუხედავად, ვვარჯიშობ როგორც შემიძლია და მომავალში უფრო მეტს მოვინდომებ და იმედი მაქვს საუკეთესო შედეგს დავდებ“.

გიორგი ჯამასპიშვილი: „4-5 დღით ადრე გავიგე რომ ასპარეზობისთვის 6 კილოს დაკლება მიწევდა. ყოველდღე 5 საათზე ვდგებოდი და დავრბოდი, რომ ჩამებარებინა. როცა მოვალეობა მაკისრია, ყოველთვის ვასრულებ. ბოლო ორი დღე ძალიან გამიჭირდა წონის კლება. საბოლოო ჯამში, ძალიან კარგად ვემზადებოდი და ამაში დიდი წვლილი შეიტანა თამაზ ყარაგვეზაშვილმა და ჩემმა თანაგუნდელმა ვალერი რამაზანაშვილმა. თბილისში რომ ჩავედით და ავიწონეთ, სასურველი წონა ჩავაბარე. თუ წინა არ დაემთხვევა, ვერ იასპარეზებ. ხოლო მეორე დღეს მივხვდი რომ ჩემი ამდენი შრომისა და წონის კლების წყალში ჩაყრა არ ივარგებდა და ბრძოლა არ უნდა წამეგო. ამ იმედით შევედი რინგზე და მეორე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოვიგე, ირანელი მეტოქე დავამარცხე. ეს სხვა წესები იყო, მაგრამ სანამ შეჯიბრზე გავიდოდით, ზუსტად აგვიხსნეს დეტალები დარბაზში და მივეჩვიეთ. ამიტომაც გვავარჯიშეს და ადვილად მოვერგეთ სპორტის ახალ სახეობას“.

ნათია ფავლენიშვილი: *(მარიამ ჩაჩანიძის მშობელი):* „ბავშვობისას მეც დავდიოდი კიკბოქსინგზე თამაზი მასწავლებელთან და ამიტომაც სულ მქონდა სურვილი, ჩემს შვილებს სპორტის ამ სახეობაზე ევლოთ. თავდაპირველად მისი ძმა დადიოდა კიკბოქსზე, მარიამი კი აქტიურად გულშემატკივრობდა. რადგან ლუკას არაერთი წარმატება ჰქონდა, მარიამსაც მეტი ინტერესი გაუჩნდა, სტიმული მიეცა და ბოლო ხანს სურვილი გამოხატა, რომ ამ სპორტში ძალები მასაც მოესინჯა. რადგან ვარჯიშზე სიარული აბსოლუტურად უფასო იყო, აღარც დავფიქრებულვარ, გადავწყვიტეთ, გოგონაც შეგვეყვანა. თამაზი მასწავლებელი საოცრად კარგი ადამიანია, არ ეშლება ნიჭის აღმოჩენა. მარიამსაც მალე შეატყო მონაცემები და გამოთქვა სურვილი, მეტი დატვირთვით ევარჯიშა. მადლობას ვუხდი მას ამ ყველაფრისთვის. მინდა გაამართლოს მისი იმედი. კავკასიელი ქალები ოდითგანვე იყვნენ დიდი მებრძოლები და ჩვენ ეს სისხლში გვაქვს, ამიტომ არ მგონია დღევანდელ ცხოვრებაში ვინმე სხვანაირად უყურებდეს გოგონების კრივზე შესვლის საკითხს, ან რინგზე გამოჩენას. მითუმეტეს, როცა საქმე მოზარდების ჯანსაღ ცხოვრებას ეხება, ნებისმიერი სპორტი მისაღები და გამართლებულია. მარიამი ყველაფერში მაქსიმალისტია, თუ რაიმეს ხელი მოჰკიდა და დაინტერესდა, ცდილობს დიდი შედეგი აჩვენოს. მის პროფესიულ ინტერესსა და სამომავლო გეგმებზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ კიკბოქსინგის გარდა ასევე ძალიან უყვარს ცეკვა, სადაც ასევე აქვს წარმატებები და ჯილდოები“.

ილია მარტყოფლიშვილი

პატრიარქის სამძიმრის წერილი

არხილოსკალოს მემორიალთან 29 ოქტომბერს ტრაგიკულად გარდაცვლილი 3 წლის ბიჭის ოჯახმა პატრიარქის სამძიმრის წერილი მიიღო.

„ბატონო ზაქარია და ქალბატონო ხატია, მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა. აღვავლენთ ლოცვებს გაბრიელის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანე დაუმკვიდროს,“ - ნათქვამია განცხადებაში.

„დიდი მადლობა ჩვენი პატარა შვილის, ახლად გარდაცვლილი გაბრიელის ნათლიას. ყველაზე თბილ, მოსიყვარულე, მზრუნველ მამას, უწმინდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქს, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილია მეორეს ჩვენი ოჯახის ამ მძიმე განსაცდელში დიდი ნუგეშისთვის. გვიყვარხართ“ - წერს გარდაცვლილის დედა.

ციცინო და არჩილ ჩაფიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ შვილებს: პაატა და მაია ხუმარაშვილებს, რძალს მაია ყოჩიაშვილს, სიძეს გელა ბეგაშვილს, შვილიშვილებს - დედისა და ბებიის

იზოლდი ბოსტოღანაშვილ-ხუმარაშვილის

გარდაცვალების გამო.

თეიმურაზ (ზამთარა) ზამთრეული



თვალსა და ხელს შუა გაირბინა ერთმა წელმა. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე 10 ნოემბერს . დაუჯერებელი იყო შენი ავადმყოფობა. ისე მხნედ იყავი, მაგრამ მოულოდნელად დაგრია ხელი უკურნებელმა სენმა და 2 თვე ლოგინად ჩაგაგდო. ორი თვე ეწამე და ზუსტად ორი თვის თავზე მიაბარე შენი სული მარადიულ სასუფეველს. შენი ხმა არ გაგვიგია, ერთი ვაი არ გითქვამს, დატოვე ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, მეუღლე. დატოვე კაცური კაცის სახელი. იყავი მშრომელი, ალალ-მართალი ადამიანი, შესანიშნავი მეუღლე, მამა და პაპა. ყველასთვის ერთგული და უღალატო წახვედი და ჩაეხუტე შენს შვილიშვილ - გიორგის, მოგიკვდეთ ჩემი თავი. ძალიან გაუსაძლისია ჩემი აქ ყოფნა, უზომოდ მენატრებით. მხოლოდ სურათებს ვეფერები. 10 ნოემბერს მოვალთ შენს საფლავზე, მოგიტანთ უამრავ ყვავილს, დაგინთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ თქვენს სულებს. მშვიდად იძინეთ, ჩემო ორო ვაჟკაცო.

შეხვედრამდე: შენი უგედური მეუღლე - ნაირა თემურაზოვი.

გამოსათხოვარი

იზოლდა ბოსტოღანაშვილი

ჩვენო ძვირფასო დაო, ულამაზესო დეიდაშვილო და „დეიდად“ წოდებულო, ძალიან ვწუხვართ, რომ დაგვტოვე ამ წუთისოფელში და შენ გაუდექი სასუფევლის გზას. ჩვენ გვწამს და გვჯერა, რომ სამოთხეში მოხვდება შენი კეთილი სული. შენი გულკეთილობით, კარგი მომსახურებითა და გულისხმიერებით უყვარდი პაციენტებს. წითელწყაროს პოლიკლინიკაში მუშაობის მანძილზე დაიმსახურე პატივისცემა და სიყვარული. ზემო მაჩხაანელი, არბოშიკელი, მირზაანელი და ქედების ზონის ხალხისგან. ქედელების ძვირფასო რძალო, კარგო ქალო - ხუმარაშვილების ძვირფასო დედავ, კარგო დედამთილო, სიდედრო და ბებიავ.

იძინე მშვიდად შენს საუფლოში ძვირფას მეუღლესთან - ვანო ხუმარაშვილთან ერთად.

დაგტირით და გეფერებით, სანამ პირში სული გვიდგას. შენს სულს მუდამ სევავედრებთ უფალს . შენს სულს ბოდიშს უხდიან შენი დონარა და თამარი, რომ სამუდამო გზაზე ვერ გაგაცილეს.

ჟუჟუნა ბაგაშვილი

მეუფე დიმიტრის ანგელოზის დღე და პანაშვიდი

8 ნოემბერს მართლმადიდებლური ეკლესია წმიდა დიდმოწამე დიმიტრი თესალონიკელის ხსენების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში საზეიმო წირვა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, ჩვენი ეპარქიის დროებითმა მმართველმა თეოდორემ აღავლინა. მსახურების დასრულების შემდეგ ტაძრის ეზოში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსის, დიმიტრი კაპანაძის საფლავზე მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა.

წირვას კახეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა სამუკაშვილი დაესწრნენ.

ორ ნათლიაზე მეტის არჩევას ვეღარ შეძლებთ

ბოლო ხანს მეჯვარეებისა და ნათლიების სიმრავლემ იმდენად ცუდი სახე მიიღო, რომ სასულიერო პირები იძულებულნი გახდნენ საკითხი სინოდის სხდომაზე გაეტანათ და შეზღუდვები მიეღოთ. თუ ადრე მეფეპატარძალს ქორწილში გვერდს თითო მეჯვარე უმშვენებდა, ახლა ხშირად შეხვდებით სურათს, სადაც წყვილს სამ-სამი, ან ოთხ-ოთხი ხელისმომკიდე ჰყავს. ასევეა ნათლობის დროსაც, ხშირად ნათლობის ცერემონიაზე ათამდე ნათლია დგას. ხშირ შემთხვევაში ნათლიების შერჩევის დროს ანგარება და სხვა ინტერესები იკვეთება, არადა ნათლიას სულ სხვა მისია აქვს ქრისტიანი ადამიანის ცხოვრებაში.

როგორც გაირკვა, ნათლობისას ორ ნათლიაზე მეტის არჩევას ვეღარ შეძლებთ. ამის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს საპატრიარქოში 2 ნოემბერს გამართული წმინდა სინოდის სხდომაზე მიიღეს. სინოდალური სხდომის განჩინება გამოქვეყნდა, სადაც ამის შესახებ დეტალურადაა განმარტებული.

სინოდის განჩინების თანახმად, ნათლია უნდა იყოს ერთი, ან ორი, (ქალი და მამაკაცი). მესამე ნათლია დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ნათლავს.

წმინდა სინოდის სხდომაზე ღიად ითქვა, რომ ბოლო ხანს მავნე პრაქტიკა დაინერგა და ნათლიების რაოდენობა წარმოუდგენლად გაიზარდა. მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) ისაუბრა ნათლობის მსახურების აღსრულებისას ჩვენს ეკლესიაში ბოლო დროს გავრცელებულ არასწორ პრაქტიკაზე, - მიმრქმელთა (ნათლიების) გადაჭარბებულ რაოდენობაზე.

წმინდა სინოდმა განაჩინა: ეკლესიის კანონიკური წესის მიხედვით, მიმრქმელი (ნათლია) უნდა იყოს ერთი; ხოლო ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციით, დასაშვებია, იყოს ორიც (მამაკაცი და ქალი; ასევე კანონიკური ტრადიციითვე, ზრდასრული ადამიანის ნათლობისას, ნათლია უნდა იყოს იმავე სქესის). საქართველოში, გამონაკლისის სახით, ნათლიების რიცხვის სამამდე გაზრდა, ნებადართულია, მიმრქმელად (ნათლიად) კათოლიკოს-პატრიარქის დადგომის შემთხვევაში.

უცნობია, შეეხება თუ არა შეზღუდვა ჯვრისწერის დროს მეჯვარეების სიმრავლეს.

ამ საკითხზე გაზეთი „შირაქი“ ჩვენი ეპარქიის სასულიერო პირებს ესაუბრა და მათი პოზიციითაც დაინტერესდა.

არქიმანდრიტი ონოფრე წულაძე: „როგორც ვიცით, ხანდახან ბევრ ადამიანს თხოვდნენ მშობლები ნათლიობას შვილებისთვის. ხშირად წარმატებული ადამიანების კრებულს ადგენდნენ. არადა ნათლია სულიერი მეურვე უნდა იყოს ადამიანისთვის. ეკლესიური და მორწმუნე. ჩახედული და მცოდნე წმინდა წერილისა და გამოჩენილ საკლესიო მოღვაწეთა შეხედულებების. ასევე საქმითაც სათნოებათა მქნელნი და მოწყალენი უნდა იყვნენ. ჩემი აზრი არ შეიძლება იყოს სხვანაირი, ვიდრე სინოდის დადგენილება. ერთი ან ორი ნათლია და მესამე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უწმინდესი პატრიარქიცაა ნათლია.სხვა ვარიანტი შეიძლება არამადლმოსილად ჩავთვალოთ. შევეცდებით, სინოდის ახალი განჩინება მორჩილებით აღვასრულოთ, გამონაკლისების გარეშე. აქამდე ნათლიები სქესის მიხედვით იზღუდებოდა და მხოლოდ იმავე სქესის ნათლია იყო დაშვებული, ახლა ეს შეზღუდვა ბავშვების მონათვლის დროს არ მოქმედებს. მხოლოდ უფროსი ადამიანის მონათვლის შემთხვევაში თავისივე სქესის ნათლია უნდა შეარჩიონ“.

ამას გარდა, იყო მოლოდინი, რომ წმინდა სინოდი მღვდელმთავრების გარეშე დარჩენილ ეპარქიებზეც იმსჯელებდა და სინოდს გამოკლებული წევრების ჩანაცვლებას განიხილავდა, თუმცა ამჯერად ეს საკითხი ისევ არ განხილულა. არადა ეპისკოპოსების გარეშე 6 ეპარქიაა დარჩენილი. ეპარქიის ახალი მმართველი უნდა დადგინდეს მათ შორის დედოფლისწყაროშიც.

სინოდის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან გამოსული მღვდელმთავრები აღნიშნავდნენ, რომ საზღვრისპირა ეპარქიებზე იმსჯელეს და ისაუბრეს პრობლემებზეც. თუმცა, როგორც ჩანს, სინოდის შევსების საკითხი ისევ ღიად რჩება. ჯერ უცნობია, მღვდელმთავრებს ეპარქიებს შეუცვლიან, თუ ახალ სასულიერო პირებს დაადგენენ ეპისკოპოსებად. შიდა რესურსის გადანაწილების შემთხვევაშიც სინოდს ახალი სასულიერო პირების ეპისკოპოსის ხარისხში აყვანა და სინოდის წევრებად დადგენა მაინც მოუწევს.

ილია მარტყოფლიშვილი

ლაშა ბექაური საფრანგეთში ევროპის ვიცე-ჩემპიონი გახდა

3-5 ნოემბერს, საფრანგეთის ქალაქი მონპელიე, ძიუდოში ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობდა. დედოფლისწყაროელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა საფრანგეთში ამჯერად ევროპის ვიცე ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს, მამაკაცთა ყველა წონითი კატეგორიის ფინალში ქართველი ჭიდაობდა, თუმცა სამივე წავაგეთ. ფინალში ლაშა ბექაურის მეტოქე სერბი ნემანია მაიდოვი იყო. ბექაურმა 2-ჯერ გააფრთხილებინა და ცაიტნოტში ჩააგდო მეტოქე, თუმცა დამატებითში მაინც დამარცხდა...

ფინალამდე ბექაური ძალიან ძლიერ ჭიდაობით მივიდა და ბევრი ილეთი გაიკეთა, ყველა პაექრობა გდებით მოიგო. პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანელი მურად ფატიევი 2 ვაზარით დაამარცხა, თან, ორივეჯერ როგორღაც იოლად გადააგდო ილეთზე. მეორე პაექრობაში უხერხული სტილის შვედი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი მარკუს ნიმანი დაამარცხა - ბრუნზე დაუპირა გადაგდება, თუმცა ვერ დაატრიალა, მაგრამ არ მოეშვა და მანამ სდია, ვიდრე შიგნიდან ჩახვეულ ფეხზე იპონზე არ გადააგდო. ფრანგი ალექსის მატიეც საკმაოდ იოლად დასცა იპონზე - ტატამიდან ვერ აგლიჯა, მაგრამ არც ამას მოეშვა და საბოლოოდ უკან მაინც გადააგდო.

ნახევარფინალში ბექაურმა კიდევ ერთი ძლიერი და თან უხერხული სტილის მოჭიდავე, ნიდერლანდელთა მსოფლიოს ჩემპიონი ნოელ ვან ტ ენდი დაამარცხა. ტ ენდი უდაოდ ძლიერია, მაგრამ მას ნებისმიერისთვის უხერხულ მეტოქედ ჭიდაობის, ცოტა არ იყოს უხეში, სახიფათო, ერთგვარად „ბინძური“ სტილი ხდის. ის ხშირად მიმართავს პროვოკაციებს, თუმცა ბექაურმა იოლად ამოსდო „ლაგამი“ - გადავლებიდან ვარდნაში გვერდზე ვაზარიზე გადაისროლა. ამ ყველაფრის ფონზე დასანანი იყო ფინალში მისი მარცხი სერბთა მსოფლიოს ჩემპიონ ნემანია მაიდოვთან. თუმცა ეს მარცხი ორმაგად უფრო დასანანია შეხვედრის ძირითად დროში ნანახი სურათით, როცა ყოველმხრივ დაჩაგრა მაიდოვი. ბექაურმა მოახერხა ინიციატივის ხელში აღება და გასაქანს არ აძლევდა მეტოქეს - ეჭიდავებოდა პირველ ნომრად; გადავლებიდან, ზედა ჩავლებიდან მუდმივად წნეხში ჰყავდა და მაიდოვს დაბლა ჩავარდნის გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა.

ორი გაფრთხილებაც დროულად მისცეს და თითქოს კუთხეშიც აღმოჩნდა მიმწყვდეული... მით უფრო, დაღლაც უფრო მას ეტყობოდა... არადა, სწორედ ამის შემდეგ გაათანაბრა სერბმა შეხვედრა, ბექაურმა კი გადამწყვეტი შეტევისთვის ძალა ვერ გამონახა, რათა ილეთზე თუ ვერ დააგდებდა, მესამე გაფრთხილება მაინც რომ გამოემუშავებინა... პაექრობა დამატებით დროში გაგრძელდა და დაღლა უკვე ქართველსაც დაეტყო.

პაექრობა ლამის 8 წუთამდე გაგრძელდა და საბოლოოდ მაიდოვის ჩახტომითი კისრულით დასრულდა, რაც, ულაპარაკოდ, იპონი იყო. ასე წააგო ბექაურმა ლამის მოგებული ფინალი. არადა, სერბთან მხოლოდ 1 შეხვედრა ჰქონდა წაგებული, ისიც ძალიან შორეულ წლებში და სამჯერ - მოგებული.

საქართველოს ძიუდოს ნაკრებმა ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ქვეყნის კვოტას კონტინენტების მიხედვით რეიტინგის ლიდერი ქვეყნები იღებენ. ევროპაში პირველი ნომერი საფრანგეთია (185 152 ქულა), მეორე - საქართველო (103 970 ქულა), თუმცა, რადგან ფრანგებს, როგორც მასპინძლებს, ლიცენზიები გარანტირებულად აქვთ, ქვეყნის კვოტა ჩვენ მოგვენიჭა.

ილია მარტყოფლიშვილი

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 13.11	სამშაბათი 14.11	ოთხშაბათი 15.11	ხუთშაბათი 16.11	პარასკევი 17.11	შაბათი 18.11	კვირა 19.11
დღე	22°	20°	17°	13°	13°	11°	13°
ღამე	7°	7°	6°	5°	3°	2°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი